რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 29 ოქტომბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გამოდის დღიურ: ერთი თვით 8 მან. 35 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. სახლდარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივად ზომის 8 მ. საქმიანი განცხადება ყველა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დღის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერის მიღება [illegible] ექსპედიცია. ... კვ. 133. Редакція [illegible] რედაქციას გამოეგზავნება ფულის რედაქციით მიიღება.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 183 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 183

მოქალაქენო!
დააჩქარეთ სახლის რწმუნებულთა და სახლის კომიტეტების არჩევა.

მოქალაქენო!
შეადგინეთ სახლის კომიტეტები, აირჩიეთ სახლის რწმუნებულები.

სახლის კომიტეტები და რწმუნებულები თავდებია მოქალაქეთა შორის სურსათის ჩქარი და სამართლიანი განაწილებისა.

სახლის კომიტეტები და რწმუნებულები მოსპობენ სასურსათო დუქნებთან რიგში დგომას.

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

დამფუძნებელი კრების სადეპუტატო კანდიდატები სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა

კავკასიის ფრონტის საარჩევნო ოლქიდან.

სია № 1

1) **გეგეჭკორი**, ევგენი პეტრეს ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის, კავკასიის ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. თფილისი—სასახლე.
2) **ხმიჩენკო**, მიხეილ ნიკოლოზის ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. კავკასიის ჯარების ცენტრის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **ხელფნეც**, სამუილ იაკობის ძე, რუს ქვეითთა რაზმის წარმომადგენელი ჯარების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **მახალკინი**, პავლე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, თფილისი—ოლღას ქუჩა № 13.
5) **ხავრანსკი**, აბრამ ლაზარეს ძე, ზაქაზეთის ჯარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
6) **ერემიაშვილი**, ალექსი [illegible] ძე, ნაფიცი ვექილი, პირველი კავკასიის საცხენოსნო ცხენოსანი კორპუსის კომისარი—მოქმედი ჯარი.
7) **ხერაზროვსკი**, ალექსანდრე სერგეის ძე, ტრაპიზონის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი—ტრაპიზონი.
8) **ბერეზოვსკი**, ფეოქტისტე ალექსის ძე, ამიერ კავკასიის სრულიად რუსეთის საერობო კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე—თფილისი.
9) **ინდუსრიოვსკი**, მიხეილ ტიმოთეს ძე, ჯარისკაცი, კავკასიის ჯარის საბჭოს წევრი—თფილისი, სასახლე.
10) **ტკაჩენკო**, ნიკოლოზ ზაქარიას ძე, უფროსი კავკ. ჯარის საბჭოს წევრი, თფილისი სასახლე.
11) **დორინგი**, იზრაილ მოსეს ძე, ჯარისკაცი, მე-491 ქვეითი ჯარნაწილის პოლკის კომიტეტის წევრი—მოქმედი ჯარი.
12) **შაჩენკო**, ფედორ დიმიტრის ძე, მუშა, ტრაპიზონის აღმ. კომიტ. წევრი—ტრაპიზონი.
13) **შტეინბერგი**, ლევონ ხრისტიანის ძე, ჯარისკაცი, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა „იზვესტიის" თანამშრომელი.

გაიხსნა ახალი ქართული სრულუფლებიანი გიმნაზია

ორივე სქესის ყმაწვილთათვის

ამთავათ მიიღებიან მოსწავლენი I კლასში და მოსამ. განყოფილებებში.

ფასი სწავლისა I კლასში 200 მან. განყოფილებებში 150 მ.

თხოვნა მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე. უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის კანცელარიაში.

ვერა, არაგვის ქუჩა, სახლი ხიმშიაშვილისა № 2.

10—8 დამფუძნებელი ხომლი და თიკოს გრიშაშვილი.

პური

სასოგადო სიკვდილის ადგილების პატრონებმა კოლექტიური პურის ბარათების გამოსაცვლელად უნდა წარადგინონ ქალაქის სასურსათო გამგეობის პურის ბიუროში მოწმობები საუბნო სასურსათო კომიტეტების, იმის შესახებ, რომ ტალონები, რომლითაც მათ პური ეძლევათ თავის დროზე არადგენდენ საუბნო სასურსათო კომიტეტში. თუ ახალი მოწმობებს არ წარმოადგენენ ახალი კოლექტიური ბარათები არ მიეცემათ.

(3—1)

პური

27 ოქტომ. დაიწყება ძველი პურის ბარათების ახლებზე შეცვლა. ბარათები გამოიცვლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში და მათ მიერ ნაჩვენებ პურის გასაცემ ადგილებში.

პურის ბარათის მისაღებად საჭიროა წარადგინოს იქნას შაქრის ბარათი და ძველი პურის ბარათი.

ყოველ ოჯახში მომხდარ ცვლილებებზე საჭიროა განცხადებული იქნას ბარათის შეცვლამდე.

განცხადებები ოჯახში მომხდარ ცვლილებების შესახებ მიიღება მხოლოდ საუბნო სასურსათო კომიტეტში.

კოლექტიური ბარათები პურისა მიიღება მხოლოდ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში.

შაქრის ბარათის წარუდგენლად პურის ბარათს ვერ მიიღებენ.

პურის ბარათის მიცემის შემდეგ მოხდება სასტიკი შემოწმება ოჯახის წევრთა რიცხვისა.

ვინც რომ ბიუროკრატიულ ქმედებაში იქნება შემჩნეული, ბარათებს ჩამოართმევენ და პასუხისგებაში მისცემენ.

5—4 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

მანუფაქტურა

ახლო დღეებში განზრახულია გაიღოს მანუფაქტურული მაღაზიები. მანუფაქტურა გაიცემა მრეწველობის მინისტრის დადგენილ ნორმის თანახმად მხოლოდ და მხოლოდ დროებითი სასურსათო ბარათების წარდგენის შემდეგ. დროებითი სასურსათო ბარათები იძლევა საუბნო სასურსათო კომიტეტში და კოოპერატიულ დუქნებში შაქრის ბარათის წარდგენის შემდეგ. ფასი დროებითი სასურსათო ბარათისა 25 კაპ. იმ პირებმა, რომლებიც ჩარიცხულნი რომელიმე დაწესებულების შაქრის კოლექტიურ ბარათში, უნდა ეცადონ მიიღონ მოწმობა იმის შესახებ, რომ ისინი კოლექტიურ ბარათშია ჩარიცხული. ამ მოწმობით შეიძლება დროებითი სასურსათო ბარათის მიღება თვითეულ პირზე ან და ოჯახზე. მანუფაქტურის კოლექტიური მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება.

(3—1) ქალაქის სასურსათო გამგეობა.

ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიის

განკარგულებით ქალ. მებაღე და მუშები შეუდგნენ ქუჩ. დარგულ ხეების დასხვლას და ხმელი ხეების და ტოტების ჩამოჭრას. ამისათვის სატყეო-საბაღოსნო კომისია სთხოვს სახლის პატრონებს ნუ შეუშლიან ხელს მუშაობაში, რადგანაც ქუჩაში დარგული ხეები შეადგენენ ქალაქის საკუთრებას. თუ ვინმემ ხელი შეუშალა მუშებმა უნდა მიმართონ ქალაქის მილიციას.

1—1 სატყეო-საბაღოსნო კომისია.

დემოკრატიის გაერთიანება

რევოლუციის გამარჯვება მეზარჯვეებთა განცალკევებას და დემოკრატიის გაერთიანებას მოითხოვს. ამიტომაც არის სოციალდემოკრატია მზარს ვერ დაუჭერს იმ ნაწილებს, რომელიც რევოლუციონურ ძალთა გათიშვას იწვევს და მათ კონტრ-რევოლუციის ამოძრავებას ნიადაგს უმზადებს.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკთა გამოსვლას ფართო დემოკრატია არ თანაუგრძნობს. მართალია დროებითი მთავრობის მოქმედებით მშრომელი ხალხი უკმაყოფილოა და მას სასტიკად გმობს, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამ მდგომარეობიდან დამფუძნებელი კრება დაიხსნის. ამჟამად ხმოვანი იმის გაძლება დამფუძნებელი კრების ჩაფუშვას მოასწავებს და უეჭველად კონტრ-რევოლუციონერთა ხელის შეწყობა იქნება. ამით აიხსნება, რომ ფართო დემოკრატია ბოლშევიკთა გამოსვლას გამიჯნავს და გვერდზე უდგება. პეტროგრადში საბჭოთა ყრილობა დასტოვეს მენშევიკებმა, მათ შორის ინტერნაციონალისტებმაც, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და უპარტიო დელეგატებმა. ბოლშევიკები განმარტოვდენ. ეს ცნობა, მთელი რუსეთის დემოკრატია სდუმს. პროვინცია პეტროგრადს არა უცხება და მით კრიზისი მშვიდობიანი გზით დაბოლოვებას აჩქარებს. სწორედ ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესი, ამას გვიკარნახებს მომენტი. იარაღის ამოქმედება, პეტროგრადის მუშათა მოძრაობის ძალით ჩაქრობა—ეს იქნებოდა რევოლუციის დასამარება დიქტატორებისათვის გზის გაკაფვა. ამას ანგარიშს არ უწევენ ის პირები, რომელნიც გრძნობას აყვებიან და ბოლშევიკთა გასრესას ითხოვენ. ისინი ფაქტიურად კონტრ-რევოლუციის საქმეს აკეთებენ და კადეტებს ემსახურებიან.

რევოლუციის გამარჯვება დემოკრატიის შეთანხმებას მოითხოვს. ძველი მთავრობა მოკვდა, მისი მკვდრეთით აღდგენა არავის ძალუძს. ახალი დემოკრატიული მთავრობა უნდა დაარსდეს. კადეტები კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკში გადაინაცვლენ და ამიტომ მათთან შეთანხმება რევოლუციის ღალატი იქნება. მხოლოდ დემოკრატიული მთავრობის გარშემო, რომელიც მიზნად დაისახავს ფართო მასსის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ზავის ჩამოგდებას, შესძლებს მთელი რევოლუციონური რუსეთი თავმოყრას და მეზარჯვენეთა შმფოთის თავიდან აცდენას.

ამ ჟამად რუსეთში მთავრობა აღარ არსებობს. ეს ანარქიის გაძლიერებას ხელს უწყობს და კონტრ-რევოლუციონერთა ამოძრავებას აჩქარებს. გაგრძელდება ეს შემდეგში, შეეს გარეშე, რუსეთის დაქუცმაცება, ხოლო დემოკრატიის უეჭველი დამარცხება მოელის. ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს დემოკრატიული მთავრობის შედგენა. ეს ცხადი ფართო დემოკრატიამ უნდა იკისროს. ყოველი წუთი ძვირფასია. რუსეთს არ შეუძლია არც ერთი დღე უმთავრობოთ დარჩეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა მრავალი ადგილას „პოგრომში" ხდება და ცხოვრება აწეწილ-დაწეწილია. საჭიროა ფართო დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი მთავრობის შედგენა. არც ერთი კადეტი მთავრობაში, არც ერთი აშკარა თუ ფარული კონტრ-რევოლუციონერი ქვეყნის მმართველად! დადგა მომენტი, როცა ქვეყნის სვე-ბედი დემოკრატიის წარმომადგენლებს უნდა ჩაბარდეს. მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია თავის გარშემო მთელი დემოკრატიული რუსეთის თავ-მოყრა და დამფუძნებელი კრების დროზე მოწვევა. მხოლოდ ეს იხსნის რუსეთის რევოლუციას და ქვეყანას უკეთესი მომავლისაკენ გააქანებს.

დაუყოვნებლივ დემოკრატიული მთავრობის შედგენა! აი რა დააკისრა დემოკრატიას მომხდარმა სერიოზულმა მომენტმა. ის ვალდებულია ეს რაღაც იკისროს, არა და მას სასტიკი დამარცხება მოელის.

გამოსავალი გზა

დამფუძნებელი კრება სულ რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა მოწვეულიყო, ფრონტებზე არჩევნებიც თითქმის უკვე დაიწყო; ახლა კი საეჭვო გახდა ის დროზე მოწვეული იქნება თუ არა.

ჩვენ არ ვიცით პეტროგრადის რევოლუციონური საქმეები და მათი ხელმძღვანელი ბოლშევიკები, შესძლებენ თუ არა თავის სურვილი მთავრობის შედგენას და უკანასკნელი მოახერხებს თუ არა დამფუძნებელ კრების მოწვევას; ერთი კი აშკარაა, რომ ბოლშევიკურმა ფრაქციამ თავისი გამოსვლით საზოგადოებრივი ურთიერთობა აფორიაქა. და აი რევოლუციონური პარტიები ზავის შესახებ აგიტაციას ველარ აწარმოებენ.

დღეს, როცა ყველა სოციალისტური პარტიის პოლიტიკური აგიტაცია, მთელი მისი საამდროოვო მოქმედება იქით უნდა ყოფილიყო მიმართული, რომ თავის გარშემო ფართო რევოლუციონური დემოკრატია შემოეკრიბა, ბოლშევიკების მიერ შექმნილ პოლიტიკურ კრიზისის გამო ამას ველარ ახერხებენ. ეს ფაქტიურათ ცენზიანი ბურჟუაზიის გაძლიერებაა, ახლა უკანასკნელ მეტი საშუალება ეძლევა მთავრობის კრიზისი თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, დემოკრატიის დიდი ნაწილს დაუმტკიცოს, რომ თვით სოციალისტები წინააღმდეგნი არიან დამფუძნებელ კრების დროზე მოწვევის და მით მასაში არეულობა გააძლიეროს.

ბურჟუაზია ჩუმად და ფრთხილად პროლეტარიატისა და რევოლუციონური დემოკრატიის უტაქტო გამოსვლით სარგებლობს, მის ფეხქვეშ ნაბიჯებით ძალას იკრებს და აკეთებს იმას, რაც მისთვის ხელსაყრელია. მას არ უნდოდა, რომ მალე დამფუძნებელი კრება მოწვეულიყო, რომელზედაც გადაწყდებოდა მიწის, ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. ბურჟუაზიამ კარგად იცის, რომ დამფუძნებელი კრება დემოკრატიულ რესპუბლიკას დაამყარებს, რომ დამფუძნებელ კრებაზე საბოლოოდ გადაწყდება მიწისა და ზავის საკითხი და სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი მთელი თავისი ძალღონით მის მოწვევის წინააღმდეგი იყო. სწორედ ბოლშევიკების გამოსვლამ კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიას საწადელი შეუსრულა და მათ წისქვილზე წყალი მიუშვა.

აი ახლა მართებს შეგნებულ პროლეტარიატს მთელი თავისი ძალები მოძრაობაში მოიყვანოს, მთავრობის კრიზისი თავის სასარგებლოთ გამოიყენოს და შეადგინოს ერთგვაროვანი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც თავის მოქმედებით დამფუძნებელ კრებას აუცილებლად დანიშნულ დროს მოიწვევს. დამფუძნებელი კრება კი საუკეთესო და სწორი ძალთა გამომხატველი იქნება, რომელიც ყოველ პოლიტიკურ მიმდინარეობას შესაფერ კალაპოტში ჩააყენებს და მუშათა კლასს გაუადვილებს საბოლოო მიზნის განხორციელებას.

ერთგვაროვან დროებითი მთავრობის შედგენა და ამ მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევა, ერთადერთი სწორი და უტყუარი გზაა, რომელიც რუსეთის რევოლუციას არსებულ კრიზისიდან იხსნის. აქეთ უნდა იყოს მთელი ჩვენი ძალა მიმართული; დემოკრატიამ უნდა გააერთიანოს თავისი ძალ-ღონე, გააჩაღოს ფართო აგიტაცია და დამფუძნებელი კრებისათვის შესაფერისი მოემზადოს.

ერობის საკითხი და დაშნაკცაკანები

III

როგორც შენიშნა უკვე აღნიშნული, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის მეცადინეობით გამოირკვა ერობის საკითხში საერთო ენა და ადმინისტრატიული გადამიჯვნა ჩამოგდებულ იქნა, როგორც აუცილებელი პირობა ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღებისა.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ადმინისტრატიულ საზღვრებში კავკასიის არც ერთი ერი არ აღმოჩნდებოდა იმდენ არა ნორმალურ მდგომარეობაში, როგორც სომხები. ამიტომ სომხები დიდათ დაინტერესებული უნდა იყვნენ ადმინისტრატიული ერთეულების ხელახლა გამოკვეთაში, ვინაიდან ეს ერთეულები შექმნილია თვითმპყრობელობის დესპოტიზმის მიერ და ისეთი წესით, რომ სომხები თითქმის ყველგან უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ეს გარემოება კი ძლიერ აფერხებს სომხის ხალხის კულტურულ განვითარებას, ამით აიხსნება სომხების წარმომადგენლების ასე დაჟინებით მოთხოვნა ადმინისტრატიული გადამიჯვნის საკითხისადმი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, აქედან არ გამოდის ის, რომ სოციალიზმის გადაჭრის. სულ უმნიშვნელო დროით გად დების გამო ჩვენ უნდა დავკარგოთ გონიერება და ჩავიდინოთ დაუფიქრებელი პოლიტიკური შეცდომები, როგორც ეს მოუვიდათ დაშნაკცაკანებს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ 14 და 15 ოქტომბერს მოწვეულ საერობო თათბირზე.

თათბირის თავმჯდომარის ამხ. ა. ი. ჩხენკელის მიერ უპირველეს ყოვლისა აღძრულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ამიერ კავკასიაზე საერობო დებულებანი გავრცელდეს დეკრეტის წესით. ა. ი. ჩხენკელი ფიქრობდა, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევის დრო უკვე ახლოვდება და ადმინისტრატიულ გადამიჯვნის კომისიაში კი დაინტერესებული პირები ჯერაც ვერ შეთანხმებულან საბოლოოდ. ამიტომ საჭიროა წინადადება მიეცეს დროებით მთავრობას, გამოსცეს დეკრეტი ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ, და ადმინისტრატიული გადამიჯვნა დაევალოს ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიისათვის, რომელიც მოახდენს ამ გადამიჯვნას მმართველობის წესით. თათბირზე ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი.

ბოლშევიკების წარმომადგენელმა ფ. მახარაძემ წამოაყენა პრინციპიალური საკითხი, რომ ეს თათბირი არ არის კომპეტენტური და მას არ აქვს მინიჭებული ადმინისტრატიული გადამიჯვნის საკითხის გადაჭრის უფლება, რომ გადამიჯვნა უნდა მოხდეს თვით ხალხის მიერ რეფერენდუმის გზით და რომ თათბირმა უნდა მოსთხოვოს დროებით მთავრობას, რომ სასწრაფოთ გავრცელდეს საერობო დებულებანი ამიერ კავკასიაზე, თუმცა ფ. მახარაძის დებულებაც პრინციპიალური თვალსაზრისით სწორია, მაგრამ ადმინისტრატიული გადამიჯვნის ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობის თვალსაზრისით იგი მიუღებელი შეიქნა, ვინაიდან არსებულ საზღვრებში ერობის შემოღების შემდეგ ასეთი გადამიჯვნა ფაქტიურათ შეუძლებელი გახდებოდა. ცხადია, მახარაძის წინადადება იმათთვის იყო სასიამოვნო, ვისაც გადამიჯვნა მაინც და მაინც არ ეპიტნავებოდა. ამიტომ მის გარშემო,—თუმცა ეს მეტად კომიკურია—შემოკრბნენ თათრები და ქართველი ნაციონალისტები. სომხთა პარტიების წარმომადგენლებმა, რა თქმა უნდა, უარყვეს ფ. მახარაძის წინადადება, ვინაიდან ეს იქნებოდა გადამიჯვნის სრული დასამარება.

ამხ. ნ. რამიშვილმა და ნ. ჟორდანიამ, თუმცა ისინი მომხრე არიან ადმინისტრატიული გადამიჯვნისა, გამოააშკარავეს ფ. მახარაძის წინადადების მთელი უსუსურობა და წარმოადგინეს თავისი რეზოლუცია, რომელიც ადმინისტრატიულ გადამიჯვნის დასრულებამდე წინადადებას ერობის შემოღებისა იმ ადგილებში, სადაც ეთნოგრაფიული პირობები მოითხოვენ ახალ გადამიჯვნას. ისინი სხვაგვარ ვერც მოიქცეოდენ, ვინაიდან ჩვენი პარტიის მასის ყურადღებამ აღიარა ის, რომ ნაციონ. საკითხის სისწორით გადასაჭრელად კავკასიაში საჭიროა უპირველეს ყოვლისა ეტნოგრაფიული ერთგვაროვანი კანტონების შექმნა. ამით იცნო ადმინისტრატიული გადამიჯვნის საჭიროებაც. მაგრამ სოციალდემოკრატიის წარმომადგენლებს არ უნდოდათ გადაეჭრათ საქმე საკითხი მექანიკური ძალდატანების გზით და უპირატესობა მისცეს შეთანხმების გზას.

თუ რამდენათ ცდილობდენ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები შეექმნათ შეთანხმება და მით ერთხელ და სამუდამოთ გადაეჭრათ ეს საკითხი, სჩანს ერთი ფაქტიდან, რომელსაც დაშნაკცაკანები განზრახ უმალავენ მკითხველებს.

15 ოქტომბრის თათბირზე, სანამ რეზოლუციებს, რომლებიც ზევით იყო წარმოდგენილი, კენჭს ყრას შეუდგებოდნენ, თათბირი დასვენებით შეწყდა, რომ დაინტერესებულ პირთათვის მიეცათ საშუალება შეთანხმებულიყვნენ და გამოემუშავებინათ ერთი რეზოლუცია. პარტიათა წარმომადგენლების კერძო თათბირზე „დაშნაკცუთიუნის" დელეგატმა ვ. ი. ხატისოვმა წამოაყენა კომპრომისული რეზოლუცია, რომლის თანახმად ამ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულ კომისიას უნდა გადაეჭრა ადმინისტრა-

ტიული გადამიჯვნის საკითხი ერთი კვირის განმავლობაში. სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა მიიღეს გ. ხატისოვის წინადადება, მაგრამ თვით თათბირზე, როცა სოციალ-დემოკრატებმა თავის სახელით შეიტანეს დაშნაკცაკანების წინადადება, იგი (წინადადება) უკუგდებულ იქნა მუსულმანების, ქართველი ნაციონალისტების და დაშნაკცაკანების ხმებით. კომენტარიები ზედმეტია...

ამნაირად, სოციალ-დემოკრატების პოზიცია აშკარა იყო. ისინი მოითხოვდენ, რომ 1) დეკრეტის წესით გავრცელდეს საერობო დებულებანი ამიერ-კავკასიაზე; 2) რომ დეკრეტში ერობის შემოღებისათვის იმ გუბერნიებში და მაზრებში, სადაც საჭიროა ახალი გადამიჯვნა წინასწარ პირობით აღიარებული იყოს ადმინისტრატიული გადამიჯვნა და 3) დაევალოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ერთი თვის განმავლობაში გადასჭრას გადამიჯვნის საკითხი და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ შემოიღოს ერობა.

ამნაირად, სოციალ-დემოკრატიის მაცადინეობით თათბირზე ერთხმად იქნა მიღებული პრინციპი, რომლის თანახმად ადმინისტრატიული გადამიჯვნა აუცილებლად უნდა წინ უძღოდეს ერობის შემოღებას და ეთანხმებოდეს ფაქტიურად მცხოვრებთა ეთნოგრაფიულ შემადგენლობას. შემდეგ სოც.-დემოკრატების წყალობით მთლად მოეღო სომხებსა და ქართველ ნაციონალისტებს შორის დავას ახალქალაქის მაზრისა და ლორის რაიონის შესახებ და გამოინახა სომხ. მუსულმანთა პროვინციებში გადამიჯვნის საკითხის გადაჭრისათვის ერთად ერთი მისაღები გზა. სოციალ დემოკრატიის ამ დამსახურებას არამც თუ ივიწყებენ დაშნაკცაკანები, ისინი განზრახ უმალავენ სომხის ხალხს საქმის ნამდვილ ვითარებას, ვინაიდან ეს მათთვის ხელსაყრელია, მაგრამ ასეთ პოლიტიკას დიდი ზარალი მოაქვს სომხის ხალხისათვის და მხოლოდ ტანჯვაში აგდებს მას.

რაც შეეხება დაშნაკცაკანების პოზიციას თათბირზე და აგრეთვე იმ პოზიციას, რომელზედაც ვიდექით ამხ. ტერ-გაზარიანი და მე, ამ მხრითაც ამახინჯებენ დაშნაკცაკანები ფაქტებს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

არ. ერზინკიანი.

(გაგრძელება იქნება).

პეტროგრადის ამბები

ცენტრ. კომიტეტის წევრმა იდაშვილმა პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ამხ. ნოე ჟორდანიასა და ა. ჩხენკელს.

„ძალა-უფლება დროებით გადავიდა კომიტეტის ხელში. ქალაქში სრული სიმშვიდეა. ჯარისკაცების და მატროსების გაძლიერებული პატრულები იცავენ ქალაქს. 25 ოქტომბერს საზამთრო სასახლეს, სადაც მოთავსებული იყო დროებითი მთავრობა, სროლა აუტეხა კრეისერ „ავრორამ" და პეტრე პავლეს სიმაგრის ჯარისკაცებმა. საზამთრო სასახლეს იცავენ იუნკრები და ქალთა ბატალიონი. დღეს, ღამით სასახლე აიღეს, მაგრამ დროებითი მთავრობის წევრები შიგ არ აღმოჩნდენ. დროებითმა მთავრობამ რადიოტელეგრაფით აცნობა მთელ ქვეყანას, რომ ძალა-უფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში და აცხადებს, რომ მხოლოდ დამფუძნებელ კრებას გადასცემს ძალა-უფლებას. კერენსკი ფრონტზე წავიდა. გაზეთები იტყობინებიან, რომ პეტროგრადისაკენ დაიძრა 2 კორპუსი. ჯარმა დაიკავა მარიინს სასახლე და წინადადება მისცა რესპუბლიკის საბჭოს დაშლილიყო. აქსენტიევმა დაითხოვა საბჭო და განაცხადა, რომ მოწვევის დრო გაზეთებში იქნება გამოცხადებული. საბჭოთა ყრილობა იხსნება, ყრილობაში გამოცხადდა 590 დელეგატი, მათ შორის 150 ს.-რევოლუციონერები, 99 მენშევიკები და ინტერნაციონალისტები, ორი ანარქისტი, 44 უპარტიო. მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა დასტოვეს ყრილობა, დარჩნენ მხოლოდ ბოლშევიკები და მემარცხენე ს.-რ.-ები. მენშევიკებმა, ს.-რ.-ებმა და უპარტიოებმა განაცხადეს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოლშევიკების მოქმედებაში. დგება თავდაცვის კომიტეტი. გლეხები არ იღებენ მონაწილეობას ყრილობაში. ყველა იმის მოლოდინშია, თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე".

—

ამხ. კაკი წერეთელმა პირდაპირი მავთულით ელაპარაკა მოსკოვის ქალაქის თავს რუდნევს, რომელმაც შემდეგი აცნობა: „საერთოდ ცნობები სწორია. მთავრობას რა ბედი ეწვია, არ ვიცით. კერენსკი პსკოვშია, მოუწოდებს მხარი დაუჭირონ მთავრობას. საბჭოთა ყრილობა თანახმაა პეტროგრადის მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოისა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი კი აცხადებს, რომ ყრილობის დირექტივები არ არის სავალდებულო. გლეხთა ცენტრალური კომიტეტიც მოუწოდებს პეტროგრადის მ. და ჯ. დეპ. საბჭოს წინააღმდეგ საბრძოლველათ. სულიერი განწყობილება მენშევიკთა წრეებში მოსკოვში მეტად გამოურკვეველი და ორაზროვანია. სასტიკ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ აწარმოებენ ქალაქის საბჭო, გლეხთა დეპუტატების საბჭო, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი.

მუშათა საბჭოში დაარსდა სამხედრო რევოლუციონური კომიტეტი ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ. სოციალისტ რევოლუციონერები არ შედიან პრინციპიალური მოსაზრებით. მენშევიკები პროტესტის განცხადების შემდეგ მაინც შევიდნენ. შედგა საზოგადოებრივ ორგანიზაციის კომიტეტი ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან. კომიტეტის მიზანია: მშვიდობიანობის დაცვა სანამ არ დასრულებულა სახელმწიფოებრივი კრიზისი, რომელიც უნდა გადაჭრას ფრონტისა და ქვეყნის ინტერესების მიხედვით. ჯერ-ჯერობით კი ებრძვის ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და ცდილობს სამოქალაქო ომის თავიდან აცილებას. სამხედრო ოლქის სულიერი განწყობილება ორაზროვანია. აქაც მოსალოდნელია პეტროგრადის ამბები, მაგრამ საზოგადოებრივი თვით-გრძნობა თავს აღწევს პანიკას და საწინააღმდეგო ძალები ირაზმებიან. მთელს რუსეთში გავრცელებულია ცნობები, რომ ბოლშევიკებს არ თანაუგრძნობენ. ფრონტიდან ჯარის წამოსვლის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით. იმედი გვაქვს გამარჯვების და გადაჭრით ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს ბოლშევიკებთან. ხმებია, რომ მოსალოდნელია კრიზისი დასრულდეს უფრო ერთფეროვანი მთავრობის შედგენით, რომელიც აწარმოებს გადაჭრილ საერთაშორისო და აგრარულ პოლიტიკას. დღეს პრინციპიალურად უფრო საყურადღებოა ძალადობასთან ბრძოლა. რა ამბავია თქვენში—კავკასიაში? (ახლა საჩქაროთ გამომიწვია ტაშკენტის კომისარმა, მალე განვაგრძობ თქვენთან ლაპარაკს), თქვენ ამ წუთში მიიღებთ ოფიციალურ დეპეშას, რომელშიაც დაწვრილებით იქნება ცნობა მოყვანილი პეტროგრადის საბჭოს სხდომისა და ახალი მთავრობის შესახებ. საბჭოთა ყრილობა პროტესტის განცხადებით დატოვეს მენშევიკებმა, ს.-რევოლუციონერებმა და ფრონტის ორგანიზაციათა წარმომადგენლების ნაწილმა. ელოდეთ ოფიციალურ დეპეშებს.

ვცდილობთ მშვიდობიანი გზით შევუწყოთ ხელი კრიზისის დასრულებას, მიუხედავათ იმისა, რომ ცდილობენ მის გამწვავებას. მთავრობა შეიძლება შესდგეს, თუ კრიზისი დამთავრდა ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კომიტეტების და თვითმართველობათა წარმომადგენლების საგანგებო ყრილობის შორის შეთანხმებით. გაცნობებთ პეტროგრადის ქალაქის საბჭოს სხდომის დაწვრილებით ცნობებს, მონაწილეობა მიიღეს სოციალისტურ პარტიების ყველა საბჭოთა ფრაქციებმა. ყრილობის ფრონტის დელეგაციას შეადგენს ს.-რები. და მენშევიკები, იხილავენ ახალ მთავრობის საკითხს. ბანაკიდან ეხლა შევიტყობინესო, ამბობს მოსკოვის და მოსკოვის მაზრის პარტიულ ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომ ჯარების პეტროგრადისკენ გზავნა კერენსკისა და ჩერემისოვის მიერ გრძელდება. ფრონტიდან წინადადებას იძლევიან გაგზავნონ დიდძალი ჯარი ბოლშევიკების აჯანყების ჩასაქრობათ. მთელი დემოკრატია შეერთდა ბოლშევიკების სულელურ ავანტიურის წინააღმდეგ, მათი განცალკევება ფრონტებზე უკვე განსაზღვრეს. ჯარის საერთო საარმიო კომიტეტებს განუწყვეტელი დამოკიდებულება აქვს სხვა კომიტეტებთან.

კავკასიის ფრონტის კომისარს დონსკოის.

გაჩინა. „პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარებს და ყველას ვაცხადებ, რომ დროებითი მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარე და რუსეთის რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალის მთავარ-სარდალი დღეს მოვედი სამშობლოს ერთგულ ფრონტის ჯარით. ვუბრძანებ პეტროგრადის სამხედრო ოლქის ყველა ჯარების ნაწილებს, რომლებიც შეუგნებლობით, ან შეცდომით მიემხრნენ სამშობლოს და რევოლუციის მოღალატე „შაიკას", დაუბრუნდნენ ამ წუთშივე თავის მოვალეობას. ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა როტებში და ყაზახთა ასეულებში.

მინისტრი თავმჯდომარე და მთავარ-სარდალი ა. კერენსკი".

—

კავკასიის არმიის ცენტრს: „გაცნობებთ უკანასკნელ ამბებს. მდგომარეობა პეტროგრადში რჩება [illegible]. ბოლშევიკებს უნდათ შეადგინონ მთავრობა, მაგრამ მათთან არა ვინ არ მიდის მათი ოთხი ლიდერის—ლენინის, აპფელბაუმის, ბრონშტეინის და ლუნაჩარსკის გარდა. ვერხოვსკიმაც უარი სთქვა. ბოლშევიკები დაიბნენ. მასას არ სჯერა მათი გამარჯვება. [illegible] არის აღფრთოვანება. მთელი ავანტიურა შიგნიდან იხრწნება. რევოლუციის დამცველი კომიტეტი, რომელიც შესდგება ყველა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების და პოლიტიკურ პარტიებისგან, მათ შორის მენშევიკ-ინტერნაციონალისტებისგან ფრონტის წარმომადგენლებთან ერთად, წავიდა ლუგაში ახალი მთავრობის შესადგენათ. მის განკარგულებაშია გარნიზონი. მან გამოჰყო წარმომადგენლები პეტროგრადის გარეშემო ყველა სადგურებზე, პეტროგრადზე წამოსულ ჯარების შესახვედრად. კომიტეტის მოქმედება ლუგაში იმის გარანტიაა, რომ ბოლშევიკების ავანტიურის ლიკვიდაცია ძმათა ომს არ გამოიწვევს და კონტრ-რევოლუციასაც საშუალებას არ მისცემს თავი წამოჰყოს. ჯარების პეტროგრადზე წამოსვლის მიზანია პეტროგრადის გარნიზონს ძალა დაუპირისპიროს, ამ ძალის ავტორიტეტზე დაყრდნობილია დახსნის კომიტეტი. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახალი მთავრობა მარტო ერთი დემოკრატიის წარმომადგენლებთაგან შესდგება. პეტროგრადში დაიწყო გარნიზონის არეულობა, დაარბიეს საზამთრო სასახლე და მისი ღვინის სარდაფი, ძალადობა იხმარეს ქალთა ბატალიონზე, ქუჩებში საზარელი სურათია, გარნიზონის გახრწნა ელვის სისწრაფით ხდება".

კომისარი ჟდანოვი.

—

28 ოქტომბერი.

ქვემოდ მოყვანილი დეპეშები პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თფილისის განყოფილებამ მოსკოვის და კიევის განყოფილებებიდან მიიღო.

მოსკოვი. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს მოსკოვის განყოფილებამ შემდეგი დეპეშა მიიღო:

ბანაკი. 24 ოქტომბერი. ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარ-სარდლებს, რუმინიის ფრონტის მთავარ-სარდლის თანაშემწეს, კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალს, სევასტოპოლის საზღვაო ძალთა მთავარ-სარდალს, პეტროგრადის, მინსკის, მოსკოვის, ყაზანის, კიევის, ოდესის, თურქესტანის, ომსკის, ირკუტსკის და დვინსკის სამხედრო ოლქის უფროსებს, დონის, ყუბანის, თერგის, ურალის, ორენბურგის, ციმბირის, სემირეჩენსკის, ასტრახანის, ამურის და უსურიის მხრის ყაზახთა ჯარების ატამანებს, ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთ და რუმინიის ფრონტების კომისრებს, პეტროგრადის, მოსკოვის, კიევის, ოდესის, ყაზანის, ხარკოვის, დონის როსტოვის, ირკუტსკის კომისრებს, სრულიად რუსეთის რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ კომიტეტებს, მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოებს, ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინიის ფრონტების, შავი ზღვის ფლოტის და ოდესის სამხედრო ოლქის კომიტეტებს, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11 და 12 არმიის კომიტეტების კომისრებს, კავკასიის საგანგებო ჯარის კომიტეტს, სრულიად რუსეთის, ბალტიის და შავი ზღვის ფლოტის ცენტრალურ კომიტეტებს. ფლოტისა და ჯარის სახელით ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ბოლშევიკებმა ძალმომრეობითი მოქმედება, ხელი აიღონ შეიარაღებული ძალით მთავრობის ხელში ჩაგდებაზე და დაემორჩილონ დროებით მთავრობას, რომელიც დემოკრატიის ორგანოებთან შეთანხმებით მოქმედებს და რომელსაც მხოლოდ შეუძლია მიიყვანოს ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე—რუსეთის ერთად ერთ პატრონამდე. მოქმედი ჯარი ძალით დაიცავს ამ მოთხოვნას.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბის უფროსი დუხონინი, მისი თანაშემწე ვირუბოვი, უმაღლეს მთავარ სარდალთან კომისარის თანაშემწეობის აღმასრულებელი პოდპოლკოვნიკი კოვალევსკი, საერთო არმიის კომიტეტის თავმჯდომარე პერეკრესტოვი.

მოსკოვი. შესდგა თავდაცვის კომისია, რომელიც მოუწოდებს მცხოვრებთ შემოკრბენ მის გარშემო და დაიცვან წესიერება. სახელმწიფო დაწესებულებებს იუნკრები იცავენ. კომიტეტში უთანხმოებაა. მენშევიკები არ ეთანხმებიან კომიტეტის მოქმედებას და კომიტეტიდან გასვლას აპირებენ. გაზეთები ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. ქუჩებში სიწყნარეა.

კიევი. პეტროგრადის ამბების გამო ქალაქის გამგეობაში მოხდა საგანგებო კრება. კრებამ დაადგინა შეადგინოს კომისია ქალაქის დასაცავათ. ქალაქის გამგეობამ მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ დაიცვან წესიერება. ყაზახთა ფრონტის ყრილობამ კიევში ერთხმად დაადგინა მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას. ყრილობა იღებს ზომებს პეტროგრადის გარნიზონის გამოსვლის წინააღმდეგ და დაუნდობელ ომს უცხადებს ბოლშევიკებს და ანარქისტებს.

კიევი. კიევის სამხედრო ოლქის კომისარმა კირიენკომ პირდაპირი მავთულით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისრის იორდანსკისაგან ცნობა მიიღო, რომ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარები დროებით მთავრობის მხარეზე არიან. 11, 7 და საგანგებო ჯარმა შეატყობინა კიევის სამხედრო მთავრობას, რომ იგინი დროებით მთავრობის მხარეზე არიან და პირველ საჭიროებისთანავე საჭირო ჯარს გამოგზავნიან. ასეთივე ცნობა მოვიდა რუმინიის ფრონტიდან. ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტებმა უკვე გამოგზავნეს ჯარები პეტროგრადისკენ დროებით მთავრობის დასახმარებლათ.

კიევი. კიევში სრული სიწყნარეა. არმიის სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან ცნობები მოდის, რომ იგინი მხარს უჭერენ დროებით მთავრობას. ეს ორგანიზაც. მოითხოვენ სასტიკი ზომები იხმარონ აჯანყებულთა წინააღმდეგ. კიევის სამხედრო ოლქის შტაბმა მთავარი ბანაკიდან კომისარ სტანკევიჩიდან დეპეშა მიიღო, რომ კერენსკი ჯარებით პეტროგრადისაკენ წამოვიდა. საერთო ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარე აგეევი პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ჯარების მთავრობას დონის მხარეში, რომელმაც აცნობა, რომ არ სცნობს ახალს ანარქიულ მთავრობას. ლენინის დეპეშაზე ყაზახთა ჯარების მთავრობამ უპასუხა, რომ ახალ მთავრობას უზურპატორებათ სთვლის და არ დაემორჩილება მას, ვინაიდან მარტო დროებით მთავრობას სცნობს. ჯერ-ჯერობით ყაზახთა ჯარების მთავრობამ მთელი მართვა-გამგეობა იკისრა დონის ოლქში და მთავრობის ყველა დაწესებულებები დაიპყრა. ჯარების მთავრობამ წინადადება მისცა კერენსკის მიიღოს დონში და გამოაცხადოს ახალი უმაღლესი მთავრობა.

—

კავკასიის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა შემდეგი მოწოდებით მიმართა **ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ:** „მოქალაქენო! პეტროგრადში ღირსშესანიშნავი ამბები ხდება. ბოლშევიკების ფრაქციამ აიყოლია რა პეტროგრადის გარნიზონი და პროლეტარიატის ერთი ნაწილი, ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება, დააპატიმრა რა დროებითი მთავრობის ზოგიერთი მინისტრები, დაიკავა მთავრობის ყველა დაწესებულებები.

რუსეთი და რევოლუცია კრიტიკულ მდგომარეობაში არიან, ის სამოქალაქო ომი, რომელიც ბოლშევიკებმა გააჩაღეს, ემუქრება რევოლუციით მონაპოვართა დასამარებას და ქვეყნის დამოუკიდებლობასაც საფრთხეში აგდებს.

შიგნით, სახელმწიფოში, ვითარდება ანარქია და ურთიერთი შეხლა-შემოხლა, გარედან კი, მტრის ჯარები ემუქრებიან ხიშტებით განადგურებას როგორც რევოლუციას, ისე რევოლუციონურ ხალხს. ამავე დროს კონტრ-რევოლუციის ბნელი ძალები თავიანთ ძალთა მობილიზაციას ახდენენ, რომ ისარგებლონ ბოლშევიკების აჯანყებით და ჩვენი ურთიერთ შეხლა-შემოხლით სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ რევოლუციას და მათთვის საზიზღარი დამფუძნებელი კრებაც ჩაშალონ, ის დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა გადასჭრას ზავის, მიწის და სხვა საყურადღებო საკითხები.

რევოლუციისა და ქვეყნისათვის ამ საშინარ ხანაში მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრი მოწოდებით მიმართავს სამხედრო და სამოქალაქო მცხოვრებთ ამიერ-კავკასიისას დაიცვან სრული სიწყნარე, რევოლუციონური წესრიგი და შემოკრბენ „კრაევოი ცენტრის" გარშემო და დაწესებულ რევოლუციონური მთავრობის გარშემო. ასეთი გზით, ე. ი. სრულიად გამიჯნულნი პეტროგრადელ ბოლშევიკების ავანტიურისტულ მოქმედებიდან, მიდის მთელი რუსეთის დემოკრატია. ბოლშევიკები კი თავიანთ მოქმედებით შეუგნებლათ კონტრ-რევოლუციონერებს უწყობენ ხელს. სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ დემოკრატი მენშევიკები და ინტერნაციონალისტები, აგრეთვე სხვა სოციალისტური პარტიები, [illegible] გამოეყვნენ პეტროგრადელ ბოლშევიკებს და ამ წამს აყენებენ ახალ დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც საკმაოდ ძლიერი და ავტორიტეტის მქონე იქნება, რომ სასტიკი ბრძოლა აწარმოვოს ანარქისტული გამოსვლების წინააღმდეგ, როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით კონტრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ და ქვეყანა მიიყვანოს დამფუძნებელ კრებამდე.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისი ერთგულება რევოლუციისადმი, ახლაც შესაფერი ღირსებით გამოვა ახალი სამძიმო მდგომარეობიდან გაშლილი წითელი დროშით და ბოლომდე დარჩება თავის საგუშაგოზე მოპოვებულ თავისუფლების და რევოლუციონური წესრიგის დამცველად და ფეხ-და-ფეხ გაჰყვება რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიას დამფუძნებელ კრებამდე.

„კრაევოი ცენტრი" უდგას რა დარაჯათ რევოლუციის ინტერესებს და საზოგადოებრივ წეს-რიგის დაცვას, აყენებს დროებით კომიტეტს საზოგადოებრივი თავდაცვისას, რომელშიაც შედიან რევოლუციონური ორგანიზაციები კავკასიის ჯარების საბჭოს, გლეხთა და მუშათა დეპუტატების ცენტრის, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის, თფილისის ქალაქის საბჭოს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების ცენტრალური საბჭოს და კავკასიის გაერთიანებული სამოქალაქო და სამხედრო მთავრობათა წარმომადგენლები. აგრეთვე შედიან სოციალისტური და რევოლუციონური ორგანიზაციების სოც.-დემ. მენშევიკების, სოციალისტ რევოლუციონერების, დაშნაკელების, სოც. ფედერალისტების და მუსულმანთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს კომიტეტი მოუწოდებს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ სისრულეში მოიყვანონ კომიტეტის ყველა განკარგულებანი, თავი შეიკავონ თვითნება გამოსვლებისაგან და ყოველივე საშუალებებით ებრძოლონ კერძო პირთა, ჯგუფთა, თუ ფრაქციათა მოწოდებებს, რომელნიც განიზრახავენ პეტროგრადის აჯანყების მხარის დაჭერას და ამით ხელს შეუწყობენ კონტრ-რევოლუციონერების გამოსვლას.

რევოლუციონურ დემოკრატიას იმდენი ძალა შესწევს, რომ ყველაფერი ეს სისრულეში მოიყვანოს და ყოველგვარ დაბრკოლებათა მიუხედავათ დანიშნულ დროზე მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ღრმათ გვწამს რა ეს, ცენტრი მოუწოდებს მცხოვრებთ მხნეობით ემზადონ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

—

ამიერ კავკასიის საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტის მოწოდება. მოქალაქენო! ვინც მხარს უჭერს რევოლუციას, თავისუფლებას, მან მთელი ძალ-ღონით უნდა დაიცვას რევოლუციონური წეს-რიგი, რომ ამით ხელი შეუშალოთ რეაქციის ბნელ ძალებს ისარგებლონ შინაური არევ-დარევით და სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ რევოლუციონურ ხალხის მონაპოვებს. ამის გამო ამიერ კავკასიის საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტი მოუწოდებს მცხოვრებთ თავი შეიკავონ ყოველგვარ [illegible] გამოსვლებისაგან. ყოველ გვარი [illegible] კრებები და თავყრილობები საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტის [illegible] დროებით აღკრძალულია".

დეპეშა

(შემთხვევითი).

ლაგოდეხი. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, ადგილობრივ ცეხების ზეგავლენით საბჭოს გამოურკვეველად გადაწყვიტა დამატუსაღოს მე და სამხედრო უფროსს გადამიცვეს. მე სამხედრო სამსახურში შეღავათი მაქვს, როგორც კოოპერატივ „დახმარების" ინსტრუქტორს. გთხოვთ გამოგზავნოთ ვინმე საქმის გამოსარკვევად და მანამდე კი, დეპეშა გამოგზავნეთ ხელს ნუ მახლებენ.

გ. ჩიკვაიძე.

ამხანაგებო!

გახსოვდეთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვებულია. გაწიეთ ფართო აგიტაცია ჩვენი პარტიის სასარგებლოთ და ეცადეთ გააძლიეროთ საარჩევნო ფონდისთვის ფულის მოგროვება.

ახალი ამბები

ფართლეულობა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ბითუმით აძლევს რაიონულ კომიტეტებს ფართლეულობას ნარჩობით გასაყიდათ. მომავალ კვირიდან თფილისში დაიწყება ფართლეულობის ნარჩობით გაყიდვა.

◆ **სურსათი.** 28 ოქტომბერს თფილისში შემოიტანეს 11 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი სათესლე ხორბალი.

◆ **საარჩევნო ფონდი.** შემოვიდა საოლქო კომიტეტის კასაში რ. ს.-დ. მ. პ. გურიის კომიტეტისაგან დამფუძნებელი კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად 550 მან. [illegible] რაიონის ორგანიზაციისაგან ([illegible]) 200 მან., [illegible] ორგანიზაციისაგან—90 მან.

— მე-9 უბნის ს.-დ. ორგანიზაციის კიოსკში (ჩერქეზოვის მოედანზე) მიიღება შემოწირულებები საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **ღვინო.** ხვალიდან თფილისში დაიწყება ღვინის რაოდენობის გამორკვევა და შემდეგ შეუდგებიან მის გაყიდვას ბარათებით.

◆ **გურიის მეთუთუნეთა კავშირმა** მიიწვია ბუკიას მიანდო შემოიაროს კავკასიის ყველა ის ადგილები, სადაც მისდევენ მეთუთუნეობას. ასეთი გადაწყვეტილების მიზანია თამბაქოს ყველა მწარმოებელთა გაერთიანება ერთ ცენტრალურ კავშირში. მ. ბუკიას შემოუვლია არტვინის და აჭარის მხარე, სადაც მეთუთუნეები სიხარულით შეეგებებიან შეკავშირების განზრახვას და კიდეც ჩაწერილან კავშირში წევრებათ. ახლა ბუკია მიდის კახეთში, იქიდან სოხუმში. აზრათ აქვთ ამ ხანში მოიწვიონ ამიერ კავკასიის მეთუთუნეთა ყრილობა.

◆ **თფ. კულტურულ-ტექნიკური სასწავლებლის** მოწვეულთა აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ გამოცდა უკვე დასრულდა და 1 ნოემბრიდან სწავლა დაიწყება.

◆ **გაზეთის შეწყვეტა.** ყველა იმ აგენტებს, როგორც კერძო პირებს, ისე ორგანიზაციებს, რომლებიც 1 ნოემბრისათვის ფული გადახდილი არ ექნებათ კანტორა „განათლებასთან" და თან ავანსი წარმოდგენილი,—გაზეთის გზავნა უსათუოთ შეუწყდებათ.

კრებები და მიტინგები.

დღეს, დილის 10 ს., ფოლბარის კლუბში (კახეთის ქ.) დანიშნულია ღვინის სარდაფების მომუშავეთა კრება.

— დღეს, დილის 10 ს., მე-3 სავაჟო გიმნაზიაში (ველიამინოვის ქ. № 11) დანიშნულია საამშენებლო მუშების, მღებავთა, მხერხავთა, ხუროთ მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირთა წევრების კრება.

— დღეს, დილის 11 ს., მე-2 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი აწყობს ლექციას ქართულ ენაზე დამფუძნებელ კრების შესახებ. ([illegible] ქ. № 9).

— დღეს, დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში" ამხ. [illegible] წაიკითხავს ლექციას დამფუძნებელ კრებაზე. ლექციის შემდეგ გაიმართება სპექტაკლი. დასაწყისი საღამ. 6 ს.

— დღეს, დილის 10 ს., სახალხო სახლში დანიშნულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება. დღის წესრიგი: მიმდინარე მომენტი.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, პირველ სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ. იწვევს პარტიის წევრთა კრებას, მე-6 სავაჟო გიმნაზიაში, ([illegible] № 3.) დღის წეს-რიგი: 1) ამხ. ნ. რამიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე; 2) მცირე კოლექტივის წევრთა დამატებითი არჩევნები; 3) კლუბის კომისიის წევრთა არჩევნები და 4) მიმდინარე კითხვები.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში (ვერის დაღმართი) დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის წევრთა კრება.

— ხვალ, საღამოს 8 ს., ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე დანიშნულია რწმუნებულთა საბჭოს წევრთა კრება ახალი ტარიფის განსახილველათ.

ხაშურის მოქალაქეებისადმი!

დღეს, 28 ოქტომბერს, ხაშურში მოხდება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. ქართლის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. მის ერთ ცენტრთაგანს ეძლევა თვითმართველობა! დღეს ხაშურის მცხოვრებლებმა უნდა დაამტკიცონ, თუ ვის აბარებენ ისინი ქალაქის ბედს.

დღეს მათ აშკარათ უნდა უთხრან არამკითხე მზრუნველებს, რომ ხაშური აკვანია ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის და მისი მცხოვრებლებიც ადგილობრივ მუშებთან ერთად არასოდეს არ უღალატებენ მუშათა კლასის ტრადიციებს. ხაშურის მცხოვრებლებმა დღეს უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი ენდობიან მხოლოდ სოც.-დემ. მუშათა პარტიას, რომელიც შავბნელ რეაქციის დროსაც თავგამოდებით და მედგრათ იბრძოდა ხალხის თავისუფლებისათვის.

მოქალაქენო! თქვენ ნათლად ხედავთ მუშათა პარტიის თავდადებულ მუშაობას; თქვენ იცით, რომ ის პარტია ჭირში და ლხინში მუდმივ თქვენთან იყო და არის და ამიტომ თქვენ დღეს ხმა უნდა მისცეთ მხოლოდ და მხოლოდ კანდიდატთა სიას № 1.

მოქალაქენო! საარჩევნო ასპარეზზე გამოდიან აგრეთვე ფედერალისტები და სოც.-რევოლიუციონერები.—ერთსაც და მეორესაც თქვენ კარგათ იცნობთ!

გაიხსენეთ ფედერალისტების ანტიდემოკრატიული მოღვაწეობა, თუ როგორის უმაგვანო საშუალებებით გვებრძოდენ. გაიხსენეთ მათი დღევანდელი განგაში დემოკრატიის წინააღმდეგ სამოსწავლო საქმეების შესახებ.

ამხანაგებო მუშებო! გაიხსენეთ 15 იანვარი, როდესაც ბ. ძნელაძემ, რომელიც ეხლა ამშვენებს ფედერალისტების კანდიდატთა სიას, როგორი ზიზღით შემოგვძახით—„ლურჯ ბლუზიანებო“ ვო. მაგრამ რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ?!

სოც.-რევოლიუციონერები?

ესენი ხომ შემთხვევითი კრებულია, რომელიც ადგილობრივ ფედერალისტებს კუდში მისდევენ და რომელნიც სრულიად არ არიან დაინტერესებული ქალაქის ბედით.

ერთად-ერთი პარტია, რომელიც დაიცავს თქვენს ინტერესებს, ეს არის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია, ამიტომ მიეცით ხმა კანდიდატთა მის სიას № 1-ს.

მოქალაქენო! არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას!

ხაშურის ორგანიზაცია რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტ.

ხაშურის საქალაქო არჩევნები

ამომრჩეველთა მიმართ.

დღეს ქ. ხაშურის ხმოსანთა არჩევნები მოხდება. დღეს უნდა გადაწყდეს, თუ ვის აბარებს თავის ბედს ხაშურელი დემოკრატია.

არჩევნები ახალი თვითმართველობის, ეს გამოსაცდელი ეგზამენია ხალხის, დემოკრატიის სიმწიფის და პოლიტიკურ გამჭრიახობის.

დღეს პირველათ ქ. ხაშურის დემოკრატია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით მონაწილეობას მიიღებს საქალაქო არჩევნებში.

დღეს ხაშურის დემოკრატია დარაზმული გამოვა საარჩევნო ბრძოლის ველზე და ხმას მისცემს ს. დ. სიას № 1.

ხაშურის დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ახლა საარჩევნო ასპარეზზე სოციალისტური პროგრამით გამოდიან, სოციალისტები არ არიან, რადგან თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე არასოდეს სოციალისტური ნაბიჯი არ გადუდგამთ.

საერთაშორისო ომის ხანაში, მთელი სამი წლის განმავლობაში, ეს ფსევდო-სოციალისტები ინტერნაციონალის დასამარებას დღესასწაულობდენ და ინტერნაციონალურ სოციალისტებს სულთათანას უგალობდენ.

აი, ამათ ახლა კვლავ თავი წამოყვეს, ხალხს კვლავ მოსარჩლე პარტიათ ევლინებიან, მაგრამ ხაშურის დემოკრატია მათ იმედებს გააცრუებს და საქალაქო არჩევნებში ნამდვილ სოციალისტურ, სოციალდემოკრატიულ პარტიის სიას, № 1, მისცემს ხმას.

მოქალაქენო! თქვენ ვერ მისცემთ ხმას ფედერალისტებს, რადგან მათი მოღვაწეობა ხაშურში თქვენ კარგათ იცით!

რეაქციის ხანაში ისინი თვით ხულიგნებს ეჯიბრებოდენ ს. დ—ბის დასამცირებლათ ჭორების შეთხზვაში.

თქვენ ვერ მისცემთ ხმას იმ პარტიას, რომელიც იანვარში მუშებს „ლურჯ ბლუზიანებს“ და „შეუგნებელ მასას“ ეძახდა.

მოქალაქენო! თქვენ ვერ მისცემთ ხმას ვერც ს.-რევოლიუციონერებს, რადგან ხაშურელი ესერები ბევრით არაფრით განირჩევიან ფედერალისტებისაგან.

ცხადია, ქალაქის ხვედ-ბედის გადაჭრაში მათ ნდობით ვერ მოეკიდებით.

ქალაქის თვითმართველობა, ეს ადგილობრივი ციხე-სიმაგრეა განმათავისუფლებელ მოძრაობის, ხალხის სრულუფლებიანობის განმამტკიცებელია და მასში ადგილი უნდა ხიეცეს მხოლოდ იმ პარტიას, რომელმაც ხალხის მიერ უფლებების მოპოვებას შესწირა თავისი ძალა და ენერგია.

იმ პარტიას, რომელიც თვით უსაშინლეს რეაქციის ბნელ ხანებშიაც განუწყვეტლივ ედგა დარაჯათ ხალხის უზენაეს ინტერესებს და მის ჭირსა და ლხინს თანაბრათ იზიარებდა. ასეთია სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

მხოლოდ მას შეუძლია სავსებით გაამართლოს ხალხის იმედები, მხოლოდ მას შეუძლია დღესაც გაუძღვეს რუსეთის დიად რევოლიუციონურ ბრძოლას, ხალხის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანას და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას.

დემოკრატიის მესაიდუმლე—სოციალდემოკრატია, ჩვენში ყოველთვის ნდობით იყო აღჭურვილი, დღესაც ამავე ნდობით არის დაჯილდოვებული იგი.

ტფილისის, ქუთაისის, ჭიათურის, სამტრედიის, ხონის, თელავის და სხვა ქალაქების დემოკრატია სოციალდემოკრატიულ დროშის ქვეშ იბრძვის.

ხაშურის მოქალაქენო! ჯერი თქვენზეა. არც ერთი ხმა ნაციონალისტურ პარტიებს, თქვენ უნდა გვერდში ამოუდგეთ სხვა ქალაქ. სოფლებს და ხმა მისცეთ სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.

ვარ. მანელი.

საერთაშორისო ომის შედეგი

ერთ ერთ ინგლისურ ჟურნალში მოთავსებულია, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ინგლისელი ცნობილი ეკონომისტის სიდნეი ვებბის წერილი, რომელშიაც აწერილია ყველა ის უბედურებანი, რაც ომის შემდეგ ევროპას თავს დაატყდება.

უპირველესათ ყოვლისა საგრძნობი გახდება სურსათისა და ნედლი მასალის სიმცირე. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარი ზომებია მიღებული პურის მოსავალი ამ ომის დროს თანდათან კლებულობს და ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას. რქიანი საქონლის, აგრეთვე ცხვრისა და ღორების რაოდენობა ევროპის ქვეყნებში თანდათან კლებულობს. ყოველგვარი სასურსათო საგნები ელვის სისწრაფით ჰქრებიან ქვეყანათა ბაზრებიდან. ყოველგვარი ზომები, რომლებიც მიმართულია საჭმელის საგნების ხელ-მომჭირნეობისაკენ, მიზანს ვერ აღწევენ, ვინაიდან მცხოვრებთა რიცხვი მატულობს და ამას გარდა, 30 მილიონი მუშები და გლეხები, რომლებიც ჯარის კაცებათ გადააქციეს, მოითხოვენ შესაფერ კვებას, აგრეთვე—15 მილიონი ქალი და კაცი, რომლებიც თავდაცვის საქმეზე მუშაობენ. სხვადასხვა მიზეზებისა გამო რუსეთი, რუმინია, უნგრეთი და რამდენიმე შეერთებული შტატები ახლო წლებში სრულიად ამოიშლებიან იმ ქვეყანათა სიებიდან, რომლებსაც სხვა ქვეყნებში გააქვთ პური. ამაზე ნაკლები თავ-ზარ დამცემი არ იქნება ნედლი მასალის უქონლობა, რომლისოდაც წარმოუდგენელია სამეურნეო ცხოვრების აღდგენა. ამ ჟამად მთელს დედამიწის ზურგზე ომის საქმეზე მუშაობენ 50 მილიონი კაცი (ოჯახებითურთ). ე. ი., მთელი დედამიწის ზურგზე მცხოვრებთა ერთი მეთორმეტედი ნაწილის არსებობა დამოკიდებულია სამხედრო ზაკაზებზე. ომის შემდეგ ამოდენა ხალხს მაშინ შეეძლება სამუშაოს შოვნა, უკეთუ ნედლი მასალა საკმაოდ აღმოჩნდება. ომის დროს გაიზარდა მხოლოდ ფოლადის დამუშავება. ქვა ნახშირის და მადნების დამუშავება შესამჩნევად შემცირდა. ომის შემდეგ სერიოზული ნაკლებობა იქნება ნავთის, შაქრის, მატყლის, ტყავეულობის და სხ. გამოსაკეთები საგნების და ნედლი მასალის ნაკლებობა საგრძნობი გახდება კიდევ იმის გამო, რომ ზღვებზე გემების რიცხვი შესამჩნევათ შემცირებული იქნება. ომის გათავებისას გემების რიცხვი ორი მესამედი იქნება იმ რიცხვისა, რომელიც 1914 წელს იყო. ამასთან ერთად, დიდ-ძალი გემები დიდხანს მოუნდება მილიონობით ჯარის კაცების სამშობლოში გადაყვანას. ევროპის რკინის გზები და გზა ტკეცილები ამ დროს საწყალობელ მდგომარეობაში იქნებიან. გადატან გადმოტანის საქმე შეფერხებული, ნელი, არა საიმედო და თან ძვირი იქნება.

ასეთ პირობებში ყოველგვარი მოუსავლობა, მაგ., ქართოფილის ნათესის დაზიანება ევროპაში ან წყალდიდობა ჩინეთში შეიძლება გადაიქცეს ევროპის საერთო უბედურებათ. ევროპის მრავალ ადგილებში შეუძლებელი იქნება საწარმოო მოღვაწეობის არა თუ დაწყება-გაცხოველება, არამედ—დანგრეულ ფაბრიკა-ქარხნების უბრალო აღდგენაც ძნელი იქნება, ვინაიდან არ იქნება არც ნედლი, არც სათბობი მასალა. ფასები ყველაფერზე საშიშარი იქნება, ხელფასი კი,—უმნიშვნელო. უკეთუ წინასწარი ზომები არ იქნა მიღებული თავის დროზე, ევროპაში და აზიაში მილიონობით დარჩება ხალხი უმუშევრათ, მათ არავითარი სახსარი აღარ ექნებათ ძვირათ ღირებული საკვების შესაძენათ. დაიწყება უმუშევართა არეულობები და რევოლიუციონური აჯანყებანი. მთელი ოლქები სიმშილით ამოწყდებიან. ცენტრალური ევროპის ზოგიერთ რაიონებში მცხოვრებნი უმშეულობით თითქმის სრულიად ამოწყდებიან. ასეთი ამბავი კი ევროპას ოცდა ათი წლის ომის შემდეგ აღარ ახსოვს. ომის შემდეგ გამოკვების მხრით ყველა სახელმწიფოები დაემსგავსებიან მტრის მიერ ალყა შემორტყმულ ქალაქებს, ვერც ერთი მთავრობა ვეღარ ვერ აუვლის როგორც საქონლის შემოტანის და გატანის, აგრეთვე წარმოება მოხმარებაზე კონტროლის დაწესებას. პარიზის კონფერენციის ყოველგვარი პროექტები გერმანიის განცალკევების შესახებ ომის შემდეგ და კომერციული ომის წარმოების გეგმა ჩაიფუშება ძნელი ეკონომიური კრიზისის წინაშე. მოსალოდნელია, რომ მთელს დედამიწის ზურგზე მცხოვრებნი სურსათს ბარათებით მიიღებენ. საჭირო იქნება საერთაშორისო კონტროლის დაწესება როგორც შემოტანილ და გატანილ საქონელზე, აგრეთვე ზღვის ტრანსპორტის შესახებ. მთელს ევროპას ისეთი წესით მოუხდება გამოკვება, როგორც ამ ჟამად იკვებება გერმანელების მიერ დაპყრობილი ბელგია.

ასეთია ის საშინელი სურათი, რასაც იმპერიალისტურ, მტაცებლური ომის შედეგი მოგვცემს ინგლისელი ეკონომისტის გამოკვლევით.

ჩემი ლოცვა

წითელმა ტალღამ ბობოქარ ზღვისამ
მეც გამიტაცა, დამიმორჩილა,
სრულად დამიპყრო გუგუნმა მისამ
და, ვით მზის შუქი ნისლებმა მთისამ,
ახალ ფიქრებით სული მოჩრდილა.

დღეს მასთან ერთად დავცურავ მეცა,
არ ვეპუები ზვირთთა მთა-ბორცვებს,
ვეღარ მიზიდავს ჩვეულებრ ზეცა,
გადამავიწყდა მთვარეც და მზეცა,—
მხოლოდ მისდამი აღვავლენ ლოცვებს.

წითელო ტალღავ! დიდება შენდა!
რაკი აგვინთე იმედი ხსნისა,
თუ მართლა მოდი საშველათ ჩვენდა,
გსურს სიხარულათ გვიქციო სევდა,—
დე, ბარემ დროზე გვალირსე ისა!

ნუ დაგვაჩაქებ უფსკრულის პირათ,
ამ საშიშ ხრამზე გაგვიდე ხიდი:
თავისუფლება გვიღირდა ძვირათ,
მისთვის სიკვდილიც მიგვაჩნდა ლხინათ
და მსხვერპლიც მიტომ შევსწირეთ დიდი.

და დღეს, როდესაც ნანატრი ჟამი
დადგა... გათენდა დილა წითელი—
არ დაგვიდგება ნეტარი ჟამი?
დაუპირულებლათ უნდა ვსვათ შხამი?
ნუ გვიზამ ამას! იყავ გულ-წრფელი!

გვაკმარე ტანჯვა, გვაკმარე კვნესა,
გვარიდე წყვდიადს, გვარიდე ქაოსს,
ნუ მოგვიბრუნებ კვლავ დუხჭირ დღესა,
შეგვახმატკბილე სიცოცხლის მზესა,
ნათელი ჰფინე გულს, სევდით ნაოსს!

ვ. რუხაძე.

რუსეთი

შრომის სამინისტროში იმუშავებენ კანონ პროექტს შრომის შესახებ ხელშეკრულობისას. შრომის ხელშეკრულობა, ამ პროექტით არის ხელშეკრულობა, რომლითაც მშრომელი განსაზღვრულ დროით ან სამუშაოს გათავებამდე თავის სამუშაო ძალას დამქირავებლის განკარგულებაში აძლევს განსაზღვრულ ფასათ. დაქირავება შეიძლება როგორც სრულ წლოვანთა ისე მცირე წლოვანთაც, მხოლოდ უკანასკნელთა ნება უნდა დართონ მშობლებმა, აპეკუნებმა ან მზრუნველებმა. პროექტის უკანასკნელი მუხლი ავალებს მწარმოებელს მისცეს დაქირავებულს მოწმობა რამდენი ხანი იმსახურა და რა თანამდებობაზე, ამასთან მწარმოებელს აკრძალული აქვს ამ მოწმობებში ისეთი რამ ჩასწეროს, რომელიც ხელს შეუშლის მას მომავალში სამუშაოს ძებნაში.

— ქ. ომსკში 5 ოქტომბერს ომსკის ყაზახთა დეპუტატების დადგენილებით დაატუსაღეს დიდი და პატარა ჯარების წრის თავმჯდომარე გლებოვი, ჯარის თავმჯდომარე ივანოვი ® გამგეობის წევრი კოლაკოვი ® ასის თავი ვლასოვი. ყველა ისინი ყაზახთა დეპუტატების საბჭომ კონტრ-რევოლიუციონერებათ გამოაცხადა.

კონფლიქტი მოხდა იმ ნიადაგზე, რომ ყაზახთა დეპუტატების საბჭო და კრების დიდი და პატარა წრე პრინციპიალურათ ვერ შეთანხმდენ. ამიტომ საბჭომ ეს ორივე წრე კონტრ-რევოლიუციონერათ სცნო და საჭირო ზომები მიიღო მის წინააღმდეგ. დეპუტატები „რესპუბლიკის სახლში“ მოათავსეს და დარაჯები დაუყენეს. ამ ამბავმა ისე იმოქმედა პოლკოვნიკ ერკოვსკიზე, რომ მან თავი მოიკლა. ეს ის ასეული არის, რომელიც წინათ ხალხს სჩხრეკდა და ატუსაღებდა.

— სად. ზალესიეზე ჯარისკაცებმა მხეცურათ მოჰკლეს პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი მაკაროვიჩი. ძველი რეჟიმის დროს ჯარისკაცები ისე უყურებდენ მაკაროვიჩს, როგორც „მამას“ და ძლიერ უყვარდათ. რევოლიუციის შემდეგაც ისეთი არაფერი ჩაუდენია მაკაროვიჩს, რომ ჯარისკაცებს თავიანთი განწყობილება შეეცვალათ, მაგრამ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ საყვარელი უფროსი მხეცურათ მოეკლათ ჯარისკაცებს. მაკაროვიჩი ხედავდა, რომ ჯარისკაცებმა მეტის-მეტი თვითნებობა დაიწყეს და საჭირო იყო დისციპლინის აღდგენა. ერთ დღეს მან გამოუცხადა ჯარისკაცებს, რომ ვინც მეცადინეობაზე არ მოვა და სხვაგან დაიწყებს ხეტიალს, პასუხისგებაში მიეცემა. ჯარისკაცებმა ეს იუკადრისეს, ნახევარი საათის შემდეგ მივიდენ მაკაროვიჩთან და მოსთხოვეს, რომელი „ბრძანების ძალით“ უნდოდა მას ასეთი ზომების მიღება. მაკაროვიჩმა აუხსნა, რომ ჯარში დისციპლინა საჭიროა, თუ ეს არ არის ჯარი ბრბოს წარმოადგენსო და სხვა. ამ დროს ვიღამაც დაიყვირა „დაჰკართ მაგასო“ და ეს საკმარისი იყო, რომ გამხეცებული ჯარისკაცები ეცენ თავის უფროსს, წააქციეს და უმოწყალოთ დაუწყეს ცემა ხელებით, ფეხებით და რაც კი ხელში მოხვდათ. როცა გული იჯერეს, სისხლით შეღებილი მაკაროვიჩი იქვე დააგდეს და წავიდენ. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მობრუნდენ ® რა დაინახეს, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ცდილობდა წამოდგომას, მისცვივდენ და კიდევ დაუწყეს ცემა. ჯერ კიდევ ცოცხალი მაკაროვიჩი აფიცრებმა აიყვანეს და ოთახში გადაიტანეს. როცა ის გრძნობაზე მოვიდა, მოითხოვა როგორმე დივიზიის შტაბში წაეყვანათ. ის, როგორც იქნა შესვეს ცხენზე და გზას გაუყენეს, მაგრამ გაიგეს თუ არა ეს ჯარისკაცებმა, გამოუდგენ უკან, დაეწიენ გზაში, ჩამოიღეს ცხენიდან და მოჰკლეს. აფიცრებთაგან ვერავინ ვერ გაბედა წაქომაგება, რადგან ეშინოდათ საზოგადოთ აფიცერთა დარბევის.

— ნიჟეგოროდის მაზრაში ერთ მშვენიერ დღეს ბაზრიდან სრულიად გაქრა ჩაი. მისი ყიდვა შეიძლება მხოლოდ ფარულათ 15—18 მანეთად გირვანქა. ჩაის ასეთი ფასები საშინელ მდგომარეობაში აყენებს გლეხებს. გაჩნდენ სპეკულიანტები, რომლებიც მოსკოვში ეზიდებიან ძეხვებს, იქიდან მოაქვთ ჩაი და საძაგელი კამფეტები და საზღაპრო ფასებში ჰყიდიან.

— პური დღეს ყველასთვის სანატრელ საგნათ გადაიქცა. ლამშეულ ხალხს ერთი აზრი უტრიალებს თავში—ვიშოვო ხვალ პურს თუ ვერა. ამის მიზეზი ყველას ის ჰგონია, რომ რუსეთში პური არ არის და ის კი არ იციან, რომ სამხრეთ გუბერნიებში პური იმდენია, რომ ლპება. ამის შესახებ გასაოცარ ცნობებს იძლევა „ეკატერინოსლავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს უწყებები“. მახმუტის მაზრაში კლოკინის მამულში პური ჯერ ვერ მოუმკიათ და რომელიც მოამკილია, მინდორში ყრია და ლპება. ლიკის, ფიშერის, ნეიგერის და ვიჟის მამულებში პური მოუმკელია და ლპება. თავად ურუსოვის მამულში რამდენიმე ვერსის სიგრძეზე 2000 დესეტინა მოუმკელი პურია. რუსეთში იმდენი პურია, რომ ვერ მოუსწრიათ მისი შენახვა და უპატრონოთ ლპება, ხალხი კი—შიმშილით კვდება.

უცხოეთი

გერმანიის შინაური მდგომარეობა ხელახლა გამწვავდა, რეიხ ტაგის უმრავლესობის პარტიის ზეგავლენით კანცლერი კიულმანი გადადგა. ინგლისის გაზეთების ცნობით ამ რამდენიმე დღის წინათ გერმანელ ჯარისკაცებში აჯანყებამ იფეთქა. 2000 კაცმა ფრონტზე წასვლაზე უარი სთქვა. გენერალს ქვები დაუშინეს, აჯანყება ჩააქრეს. არიან დაჭრილები, რომლებსაც სამართალში აძლევენ.

დაეცა აგრეთვე იტალიის კაბინეტი და ამის მიზეზი იყო პალატის ოპოზიცია, რომელიც მოითხოვდა პარლამენტის მიერ მთავრობაზე კონტროლის დაწესებას. სოციალისტები ახალ კაბინეტსაც ოპოზიციაში ჩაუდგენ.

ინგლისში ირლანდიასთან დამოკიდებულებამ ისევ მწვავე ხასიათი მიიღო. პარლამენტში შეკითხვაზე მინისტრ თავმჯდომარე ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მთავრობა არას დროს ნებას არ მისცემს ირლანდიელებს დამოუკიდებლობისას, და უკეთუ აჯანყება მოხდა, სასტიკ ზომებს იხმარსო. მიუხედავათ ასეთ მუქარისა, დუბლინში მოწვეულია სინფეინერების პარტიის ყრილობა, რომელსაც განზრახული აქვს ირლანდიის რესპუბლიკა გამოაცხადოს.

უკანასკნელ ცნობებით პარიზში მთავრობის კრიზისი ჯერაც არ დასრულებულა. 13 ოქტომბერს პალატის კრებაზე დიდი აურზაური ასტყდა. სოციალისტი ოგალიერი შეეკითხა მთავრობას დაესახელებია მიზეზი რათ გადაასახლეს რიბო. ბარტუს განცხადებამ, რომ ომის მიზნები დამოკიდებულია გამარჯვებაზე, დიდი პროტესტი გამოიწვია სოციალისტებში.

არც გერმანიაში გათავებულა მთავრობის კრიზისი*). კანცლერათ გერტლინს ასახელებენ. მაგრამ სოციალისტებმა მას განუცხადეს, რომ მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ. ცნობებია, რომ გერმანიამ ოფიციალურათ წინადადება მისცა ბელგიას სეპარატიულ ზავის, მაგრამ წინადადება უარჰყვეს. გერმანიის ს.-დემოკრატიის პარტიის უმრავლესობის ორგანო „ფორვერტსი“ მოითხოვს, რომ მიუხედავათ იტალიაზე გამარჯვებისა, გერმანიის პოლიტიკა ომში უნდა უყოს „მოგერიებითი“.

ინგლისის მინისტრმა ბონარ ლოუმ განაცხადა პარლამენტში, რომ პარიზის კონფერენციაზე განიხილავენ მხოლოდ საკითხს—როგორ აწარმოონ ომი და არა მის მიზნებსო. გაზეთები „დეილი ნიუს“-ი და „მანჩესტერი გარდიენი“ პროტესტს აცხადებენ ამის შესახებ და მოითხოვენ კონფერენციაზე ომის მიზნების შესახებ საკითხების განხილვას.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ყველა მიმართულების ფინლიანდიის გაზეთები სეიმის დამთავრებული არჩევნების შესახებ სწერენ. როგორც ვიცით, სოც.-დემ. პარტიამ სეიმში გაიყვანა 92 დეპუტატი, წინათ კი ჰყავდა 103 დეპუტატი. ასე რომ პარტიას დაეკარგა 11 მანდატი. ამაში ბევრი ხედავს სოც.-დემოკრატიის დამარცხებას, თუმცა წინა წლებთან შედარებით საერთოთ პარტიამ 70 ათასი მეტი ხმა მიიღო წელს. სულ სოც.-დემ. მიიღო 483,859 ხმა. კითხვა იბადება: რისთვის სოც.-დემ. პარტიამ ვერ გაიმარჯვა ამ არჩევნებში ისე, როგორც მოელოდენ? ამ კითხვაზე სხვადასხვა გვარ პასუხს იძლევიან ბურჟუაზიული და სოციალისტური გაზეთები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული პარტიებიდან ბევრი ახალი მანდატები შეიძინა წვრილ ბურჟუაზიულმა პარტიამ აგრარულმა კავშირმა, რომელშიაც შედიან მიწის მფლობელი გლეხები და რომელიც ყველა ბურჟუაზიულ პარტიებზე უფრო დემოკრატიული პარტიაა. ახლა სეიმში ამ პარტიას 19 დეპუტატის ნაცვლად 26 ეყოლება. ბურჟუაზიული გაზეთები ასე ხსნიან ამ მოვლენას: წინეთ გლეხობაც ხმას აძლევდა სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ წელს, გაზაფხულზე, სოც. დემ. პარტიამ ბევრი გაფიცვა მოაწყო სოფლად სასოფლო-მეურნეობის მუშების [illegible] არეული სასურსათო საქმეები. ს.-დემოკრატიული პრესა [illegible] კავშირის გამარჯვებას არჩევნებში, რომ ეს კავშირი მეურნეობის ნაწარმოებზე ფასების აწევას უწყობდა ხელს იმ დროს, როცა სოც.-დემოკრატები მომხმარებელთა ინტერესებს იცავდენო. ფინლიანდიაში მომქმედმა ბურჟუაზიულმა პარტიებმა საარჩევნო ბლოკი შეკრეს, ზოგიერთ ადგილას მათ მიემხრო შვედების „სახალხო“ პარტია. ამ ბურჟუაზიულმა ბლოკმა შეიძინა 5 მეტი მანდატი, სულ გაიყვანა 61 დეპ. ეჭვს გარეშეა, ამ ბლოკმაც ხელი შეუწყო ბურჟუაზიის გამარჯვებას. უკანასკნელ არჩევნებში ბურჟუაზიულმა პარტიებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს; წინა არჩევნებში მათ ასეთი ფხა არ გამოუჩენიათ. ამიტომ ბევრი ხმა მიიღეს ისეთი პირებისაგან, რომლებიც დღემდე პოლიტიკას გულ-გრილათ უცქეროდენ. სხვათა შორის, ერთ-ერთ მიზეზათ ს.-დ. პარტიის დამარცხებისა მიაჩნიათ კოალიციონურ სენატში ს.-დ. მონაწილეობა, რითაც ისარგებლეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა და მთელი პასუხისმგებლობა სოციალისტური სენატისა სოც. დემოკრატებს დააკისრეს, მაშინ, როდესაც მთავრობა უფრო ბურჟუაზიის ხელში იყო, ვინემ სოციალ-დემოკრატებისა. როცა ეცნობით ახალი სეიმის შემადგენლობას, აღსანიშნავი ხდება, რომ ბურჟუაზიულ დეპუტატებს შორის აღარ არიან უფრო რადიკალური შეხედულების დეპუტატები, რომლებიც საყურადღებო კითხვების გადაჭრის დროს ხმას აძლევდენ სოც. დემოკრატებთან ერთად. რამდენიმეთ ეს აიხსნება იმით, რომ ისინი სიებში არ ყოფილან შეტანილი, ზოგიერთ ადგილას კი,—ისინი გააშავეს.

*) უკვე ცნობაა მოსული, რომ კანცლერათ დანიშნეს გერტლინი.

მუშათა დაზღვევის ახალი კანონი

(დასასრული)

უბედური შემთხვევები.

ძველი კანონის ძალით სავადმყოფო კასები ვალდებულნი იყვნენ 13 კვირის განმავლობაში დასახიჩრებულ მუშებისათვის თავის ბიუჯეტიდან ეძლიათ დახმარება. ეს გარემოება სავადმყოფო კასების ბიუჯეტს ყირამალა აყენებდა. სამთამადნო მრეწველობაში ამ კანონის მეოხებით წლიური ანგარიშები ყველგან დეფიციტით თავდებოდა. ეს არც გასაკვირველია, რადგან რუსეთის სამთამადნო მრეწველობა მრეწველობის პრიმიტიულ ფორმას ჯერ კიდევ ვერ გასცილებია და ამას უნდა მივუმატოთ კიდევ, რომ რუსეთში დასახიჩრებულ მუშათა რიცხვი ორჯელ მეტია ვიდრე დასავლეთ ევროპის სამრეწველო რაიონებში. გარდა ამისა, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ რუსეთში უბედური შემთხვევა ბევრათ უფრო ხანგრძლივ ექიმობას მოითხოვს, ვიდრე გერმანიაში, ან ინგლისში. ამის მიზეზი უმთავრესათ სამკურნალო დახმარების პრიმიტიული ფორმაა, ამიტომაც აუარებელი რიცხვი დასახიჩრებული მუშებისა სავადმყოფო კასებს აწვებოდა შესანახათ კისერზე.

ახალმა კანონმა აქაც რადიკალური ცვლილება მოახდინა. მიმდინარე წლის 1 მარიამობისთვიდან დასახიჩრებულ მუშების დახმარება პირველ დღიდანვე მრეწველთა მოვალეობას შეადგენს და ასე სავადმყოფო კასები ამ უსამართლო ხარკისაგან სრულებით თავისუფლდებიან.

ამ მხრით რუსეთის კანონმდებლობამ ბევრათ წინ გაუსწრო გერმანიისას, რადგან იქ მრეწველები, მართალია, დასახიჩრებულ მუშების დახმარებას თავის თავზე ღებულობენ, მაგრამ, სამაგიეროთ, სავადმყოფო კასაში შეაქვთ მხოლოდ ნახევარი იმისა, რასაც იხდიან მუშები. რუსეთში კი ახალი კანონის ძალით მრეწველები ვალდებული არიან დასახიჩრებულ მუშების დახმარება სრულებით თავის თავზე მიიღონ და გარდა ამისა სავადმყოფო კასაში შეიტანონ ფულით არა ნახევარი მუშების მიერ გადახდილი ჯამის, როგორც ეს გერმანიაში ხდება, არამედ—იმდენივე, რამდენსაც მუშები იხდიან. ამ გზით ბიუჯეტი რუსეთის სავადმყოფო კასებისა მიმდინარე წლის 1 მარიამობისთვიდან ერთი ორათ იზრდება, რაც საშუალებას მისცემს სავადმყოფო კასებს თავისი მოქმედება ერთი ორათ გააფართოვონ.

ახალმა კანონმა თვალსაჩინო ცვლილება მოახდინა თვით გადასახადის შესახებაც.

დღემდე მუშები იხდიდენ სავადმყოფო კასის სასარგებლოთ განსაზღვრულ პროცენტს, მხოლოდ დღიური ხელფასის არა უმეტეს 5 მანეთიდან. ე. ი. თუ მუშა თვეში იღებდა ჯამაგირს 200 მანეთს. სავადმყოფო კასის სასარგებლოთ იხდიდა განსაზღვრულ პროცენტს არა 200 მანეთიდან, არამედ 125 მანეთიდან—ანუ 2 მ. და 50 კ. თვეში. ამაზე მეტის გადახდევინება კანონის ძალით აკრძალული იყო. ასეთივე ნორმა არსებობდა ავადმყოფობის დროს დახმარების შესახებ. ე. ი. თუ ავადმყოფი მუშა ოჯახის პატრონი იყო, ყოველ დღიურათ სავადმყოფო კასიდან დახმარებას ღებულობდა 3 მან. და 33 კაპ. და ამ თანხით უნდა ერჩინა თავისი თავი და ოჯახი ავადმყოფს.

ომის დროს, როდესაც ქაღალდის ფულის ფასი ერთი სამათ დაეცა და პირველ საჭირო ნივთების ღირებულებამ საზღაპრო ხასიათი მიიღო, 3 მანეთით ოჯახის შენახვა ყოვლად

შეუძლებელი გახდა. ამას გარდა, თუ ომამდე დღეში 5 მანეთი საშუალო ხელფასათ ითვლებოდა, ომის დროს ასეთი ადგილი 10 მანეთმა დაიკავა და აი, ამიტომაც შრომის სამინისტრომ 5 მანეთის ნაცვლად 10 მანეთი მიიღო ნორმათ. მაშასადამე, 1 აგვისტოდან ახალი კანონის ძალით 2 მ. 50 კ. ნაცვლად ყოველთვიურათ გადიხდიან კასის სასარგებლოთ 5 მანეთს და ავადმყოფობის დროს ყოველდღიურათ 3 მ. და 33 კ. ნაცვლად 6 მ. და 66 კ. მიიღებენ. გარდა იმისა, რომ ახალი კანონის ეს მუხლი ერთი ორათ ადიდებს როგორც გადასახადის, ისე დახმარების ნორმასაც, ამ კანონს მეორე დადებითი მხარეც აქვს. საქმე იმაშია, რომ დღემდე ქარხნის პატრონი კასის სასარგებლოთ იხდიდა ორ-მესამედს მუშების მიერ შეტანილ 2 მ. 50 კაპ. ნორმიდან; დღეიდან კი, ქარხნის პატრონი მუშების მიერ შეტანილ 5 მანეთს დაუმატებს თავის მხრიდან არა 2 მ. და 50 კ. არამედ 5 მანეთს.

ახალი კანონის ამ მუხლში სწორეთ რომ თავის დროის [illegible] დაზღვეულ მუშების, წინააღმდეგ შემთხვევაში, საავადმყოფო კასების არსებობა მიზანს ვერ მიაღწევდა.

დაზღვევის კანონის გაფართოვება.

დღემდე დაზღვევის კანონის გარეშე იდგნენ სამრეწველო დარგში მომუშავე მუშები და ხელოსნები და აგრეთვე წვრილ სახელოსნოებში მომუშავენი. მათი რიცხვი რუსეთში არა ერთსა და ორ მილიონს აღწევს. ახალი კანონი ამ მხრით პირველად ყოვლისა დაწვრილებით შეეხო ძველი კანონის 1 მუხლს და დაზღვევის კანონმდებლობას დაუმორჩილა ყველა ის დარგები, სადაც კი 5 კაცი მაინც მუშაობს. ამ გზით ახალმა კანონმა ერთი კალმის მოსმით რამოდენიმე მილიონი, დღემდე დაზღვევის კანონის გარეშე მდგომი, მუშათა ჯგუფები გახადა საავადმყოფო კასების წევრებათ და ამით რუსეთის მუშათა კანონმდებლობაში ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

აი მოკლეთ ახალი კანონის ძირითადი დებულებანი. წვრილმან ცვლილებებზე მე აღარ შევჩერდები, რადგან უმთავრეს პრინციპიალურ კითხვების გაშუქებას, თავისთავად ცხადია, თან ახლავს ბევრი მეორე ხარისხოვანი ცვლილებების მოხდენა.

მუშათა კლასის მოვალეობა.

ამა თუ იმ კანონს—ამა თუ იმ კლასისათვის მხოლოდ მაშინ აქვს რეალური მნიშვნელობა, როდესაც მის ცხოვრებაში გატარებას შეგნებულათ ხელმძღვანელობს დაინტერესებული კლასი. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონები მხოლოდ ქაღალდზე რჩება, ასეთ მდგომარეობაშია ახალი კანონიც მუშათა დაზღვევის შესახებ. უნდა აშკარათ ითქვას, რომ მუშათა ახალი კანონმდებლობა რუსეთში განსაკუთრებულ პირობებში იქმნა. ეს ხდება მაშინ, როდესაც მუშათა კლასს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი უჭირავს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასმა თავისი გამარჯვება უკვე ბოლომდე მიიყვანა. ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის მხოლოდ აწი იწყება.

რევოლიუციის პირველ დღეებში მრეწველთა წარმომადგენლები სრულებით დაიბნენ. მუშათა მოთხოვნილებებს უწინააღმდეგოთ ღებულობდნენ კაპიტალისტები, მაგრამ ამ ბოლო დროს სურათი იცვლება, მრეწველთა საბჭო თავდაცვის ტაქტიკიდან თავდასხმის ტაქტიკას შეუდგა. ბევრ სამრეწველო რაიონებში უკვე გააუქმეს რევოლიუციის პირველ დღეებში მოპოვებული უფლებები. კაპიტალისტების სტრატეგიული ბრძოლა ბოლოს სახელმწიფოებრივ ხასიათს მიიღებს და აი, ამ დროს დაიწყება ნამდვილი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. ამ ბრძოლის სათავეში ჩაუდგება არა კერძო კაპიტალისტი თავისი ქარხნის ტერიტორიაზე; არამედ—გაერთიანებული იქნება საკანონმდებლო დაწესებულებებში და მუშათა კლასს დაუპირდაპირდება კლასი კაპიტალისტებისა.—დღეს მუშათა კლასს ბევრი მოკავშირე ჰყავს: ჯარი და გლეხკაცობა დღეს, სანამ რევოლიუცია არ დათავებულა, მის მხარეზეა, მაგრამ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება, აგრარული კითხვა ასე თუ ისე გადაიჭრება, ჯარის დემობილიზაცია მოხდება და ყველა ეს სოციალური ჯგუფები თავიანთ კალაპოტში ჩადგებიან. ამ დროს მუშათა კლასს გვერდში აღარავინ ედგომება გარდა თავის-თავისა და აი სწორეთ ამ დროს ძნელი შეიქნება მუშათა კლასისათვის ყველა იმ უფლებების დაცვა, რომლებიც რევოლიუციის დროს მოიპოვა, თუ, თავისთავად ცხადია, დღეიდვე არ შეუდგება თავისი კლასიური ორგანიზაციების გაძლიერებას და რევოლიუციის წყალობით მოპოვებულ უფლებების ახლავე ცხოვრებაში გატარება-განმტკიცებას.

ერთი ასეთი უფლებათაგანია ახალი კანონიც მუშათა დაზღვევის შესახებ.

ბ. ჭუმბურიძე.

ჯარის-კაცთა წერილები

ძ. ალექსანდროპოლი. 28 ოქტომბერს აქ მოხდა ქართველ ჯარის-კაცთა ყრილობა. თავმჯდომარემ ამხ. შ. დარჩიამ გახსნა კრება, დაესწრო ას კაცზე მეტი. მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: 1) თფილისში გაგზავნილ კომისიის სახელით ამხ. ნ. მგელაძისა, რომელმაც სთქვა, რომ იმ ორგანიზაციებში, სადაც ისინი იყვნენ ტფილისში, არავინ არაა წინააღმდეგი ქართული პოლკების დაარსებისა, ხოლო ჯარის კაცთა ორგანიზაცია არ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებასაო. მეორე მომხსენებელმა ამხ. ქ. ჩხეიძემ გააცნო დამსწრეთ ჯარის-კაცთა კავშირის მიზანი, ეროვნული პოლკების დაარსების მნიშვნელობა რევოლიუციისათვის და ასეთი პოლკების სარგებლობა თვით ჯარის კაცებისათვის. მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი იმაზე—სასურველია თუ არა ნაციონალური პოლკების შექმნა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ქ. კეერნაძემ, მატახერიამ, შენგელიამ, ვიკუამ, ჩხეიძემ და სხვ. კამათის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ორი წინადადება ამხ. ქ. კეერნაძისა და ამხ. ქ. ჩხეიძისა. ხმის უმრავლესობით გავიდა ამხ. ქ. კეერნაძის წინადადება, რომელიც კრების სეკრეტარისაგან აქვე ცხადდება: „ალექსანდროპოლში მყოფი ქართველი ჯარის კაცები, შეიკრიბნენ რა 23 ოქტომბერს, ვიმსჯელეთ ქართველ ჯარისკაცთა კავშირის შესახებ,—მივიღეთ მხედველობაში რუსეთის არსებული რევოლიუციის მდგომარეობა და მსვლელობა და ამავე დროს ანგარიში გაუწიეთ-რა მთლიან რევოლიუციონერ ჯარის არსებობას,—ვადგენთ: უკეთუ ქართული პოლკები შეიქმნება, ეს უნდა ექვემდებარებოდეს საერთოდ რუსეთის ჯარის შესახებ გამოცემულ ინსტრუქციას და იმ ინსტრუქციას, რომელიც ნაციონალური პოლკების შესახებ გამოიცემა. ქართული სამხედრო კავშირის დაარსება-კი იმ სახით, როგორც ეს კავშირის წესდებაშია, არ ვცნობთ, რადგანაც ქართველი ჯარის-კაცები განუყრელი ნაწილი არიან რუსეთის რევოლიუციონერი დემოკრატიისა.

ამ მხრით ჩვენ ვადიდებთ რევოლიუციას და ხელს ვაწვდით მის ხელმძღვანელ დაწესებულებებს“.

კრების თავმჯდომარე შ. დარჩია.
მდივანი შ. ხანაძაშვილი.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. წითელ-მთა (გურია). სოფელი წითელ მთა შემოქმედის საზოგადოების ნაწილია, სადაც სცხოვრობს 120 კომლი. ამ სოფელში არსებობს კოოპერატიული ფურნე, სახაზინოთი და საზოგადო საფეხურით, აქვს საკუთარი ხის შენობა და საქმეც კარგათ მიდის. არსებობს ახალი სამკითხველო. ჯერ შენობა და მოწყობილება არ აქვს, იმედია ადვილათ ავაგოთ შესაფერი შენობა, ვინაიდან ამ სოფლის გაჭირული პირები აგროვებენ თავის ნაცნობ-ამხანაგებში ფულს ფონდის გასაძლიერებლათ. არ აქვს ამ სოფელს სკოლა, რაც დიდი ნაკლია. რაც შემოქმედში 4 კლასიანი სკოლა გაიხსნა, როგორც თითქმის ყოველ საზოგადოებაში აარსებენ მას, ორ-კლასიანმა სკოლებმა დაჰკარგა მნიშვნელობა და გახდა ერთ კლასიანათ. შემოქმედისაც ერთ-კლასიანია, მხოლოდ ჯერ კიდევ 4 განყოფილებით. ბავშვების რიცხვი ისეთიც ბევრია შიგ—წითელ მთიდანაც იქ დადიან; თუ ასეთი წესები სკოლის არ შეიცვლება, ის ვერ იქნება თავის დონეზე დაყენებული. სოფელ წითელ მთას 9 წლის წინეთ უნდოდა დაეარსებინა თავისთვის ერთ-კლასიანი სკოლა, რაზედაც განაჩენი დაადგინეს, მაგრამ მაშინ ბნელმა ძალებმა შეუშალა ხელი ამ კეთილ საქმეში, ამიტომ დღემდის უსკოლოთ არის. ეხლა მაინც აუცილებელი საჭიროა წითელ-მთის ხალხისთვის ერთ-კლასიანი ორთავე სქესისათვის სკოლა, მაგრამ შიშობენ: „ვაი თუ კიდევ მოწინააღმდეგეებმა იჩინონ თავიო“. ბავშვები 60—80 მდე მოიყრის თავს, სკოლა რომ გაიხსნებოდეს. მით უფრო საჭიროა აქ სკოლა, რომ ხიშირის გაღმა პაწია ბავშვებისათვის ძნელია შემოქმედის სკოლაში სიარული, არის სხვა დაბრკოლებანიც. როცა ბავშვი თავის მახლობელ სოფელში სკოლის ხსენ განყოფილებას დაასრულებს, პირველ კლასისთვის მომზადებული იქნება და თან მოხერხებულიც—ოთხ-კლასიანი სკოლისთვისაც. ძლიერ საჭიროა სკოლების გამრავლება საზოგადოებაში, რადგან შემოქმედში გარეშე საზოგადოებიდან არ არის მოსალოდნელი ბავშვების შემოსვლა, როგორც ზემოთ ვსთქვი, თითო ოთხ-კლასიანი ყოველ საზოგადოებაშია. იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი და სხვა შეგნებული პირები. საჭიროა ადგილობრივი მცოდნე პირები ეხლავე შეუდგნენ საქმეს. X.

ს. ბაში. ადგილობრივმა გლეხთა საბჭომ და აგრეთვე სამეურნეო კომიტეტმა იძულებული გახადა ხარ-კამეჩის პატრონნი, რათა ყველას შეება გუთნები, მოეხნათ კოოპერატივისათვის და კოოპერატივს თავისი მხრით ჩაეზიარებინა [illegible] ხალხი მოსწავლეებისათვის [illegible] ბით. ეს ასე მოხდა და კიდევ განაგრძობენ ხვნას. ოთხიგან საგუშაგოებით და სამაზრო საკომიტეტო, რათა [illegible] ხაზის საზოგადოება [illegible] მოსავალი წლის შიმშილი. [illegible] ნაწილი, ხალხის დახმარება [illegible] კომიტეტი [illegible] ქართლის ქერი—სასწავლის [illegible] პატრონებს [illegible] თავისი [illegible] დღეებში.

ორი კვირის წინათ დაიჭირეს ღამის ქურდობაზე ინდაურით ხელში მოხ. [illegible] შვილი. ეს უკანასკნელი დიდათ შენიშნული იყო ყოველ [illegible]—ჩაქვევან გადაუჩნა ხალხს და დაისაჯა ინდაურის ყელზე ჩამოკიდებით და ფიცარზე მელნით წარწერით „ინდაურის ქურდი“. მოაკვეთინეს სოფლის სასარგებლოთ 300 მანეთი [illegible], ტყუილის ლოთობა და ხანჯლის ტარება, მაგრამ სულ წინააღმდეგ მოუმზადა ლოთი—ბაზარი და ერთ საღამოს კრებაზე ღვინით გალეშილმა მოახდინა არეულობა, მას მხარი მისცა ივანე ყირმელაშვილმა. უკანასკნელმა ბევრი უშვერი სიტყვებით დალანძღა ხალხი, ცოტაიც გადარჩა სისხლის ღვრას კრება. საქმე იმითი გათავდა, რომ ნახევარი ხალხი დაფრთხა—ნახევარმა დაატყვევეს ორივენი, შეუდგინეს ოქმი, რათა ორივე დამნაშავენი მოაშორონ სოფელს რევოლიუციის დაგვირგვინებამდე, ორივეს გადასცეს საერთაშორისო სასამართლო განყოფილებას. ერთს მათგანს, ივ. ყირმელაშვილს, დააბრუნებენ უკან შინ, ერთი სასჯელის მოხდით და შესაფერი პირობის დადებით, თუ გამოსწორდება.

გ. მაისურაძე.

ხად. ახალაშა. საღვ. აქტიური შედის ყაზახის მაზრაში. სამინისტრო სურათს წარმოადგენს ეს მაზრა თავისი მართვა-გამგეობით. არავითარი დემოკრატიული მართვა-გამგეობა აქ არ არსებობს და თუ რამე შექმნეს აქა-იქ რეფორმის გზის საფუძვლები ახლოს არის ხალხის, მ. მველიძობა—ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. დაწესებები თუ არა, მზადებით მიმავალი მცხოვრებს იმედი არ გაქვს მშვიდობიანათ გათენების. მაზრაში არსებობდა როგორც სამაზრო კომიტეტის მსგავსი. თავის დანიშნულებას სრულიად ვერ ასრულებდა. ამ დღეებში მთელი მაზრა დაიარეს საოლქო კომიტეტის რწმუნებულებმა და ყველა სოფელში შეადგინეს ადგილობრივი კომიტეტები.

18 ოქტომბერს შესდგა განახლებული სამაზრო კომიტეტის კრება. დილიდანვე ეტყობოდა კრებას, თუ უმრავლესობა რა ჯურის ხალხისაგან შესდგებოდა. 58 დელეგატიდან კრებაზე გამოცხადდა 48. უმრავლესობა ბეგები იყვნენ. რაიონის ყველა კომისარები დელეგატათ „ავრჩიათ“ და შესაფერ ავიტაციასაც გაწევდნენ ხალხში, რომ თავმჯდომარეთ გაეყვანათ მსხვილი მემამულე ვეზიროვი. საქმე რთული ის იყო, რომ აქ დემოკრატიის ხმა ძალიან სუსტათ გაისმოდა—ფეოდალური ნაშთების არა წარმომადგენლები გვერდზე ეჯიბრებოდნენ. კრება გახსნა საოლქო კომიტეტის რწმუნებულმა და ხალხს მოუწოდა აერჩიათ სამანდატო კომისია. ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ ისეთი პირები, რომლებიც, როგორც გამოირკვა, თვითონ იძლეოდნენ მანდატებს მათთვის საიმედო პირებისთვის რაკი შეატყობდნენ, რომ ამა და ამ სოფლიდან არ არის დელეგატიო.

თავმჯდომარემ კრებას გააცნო, თუ რისთვის იყვნენ მოწვეულნი და მოსთხოვა მათ აერჩიათ აღმ. კომ. თავმჯდომარე, ორი მისი ამხანაგი და ერთი მდივანი. ამხ. ხუჯუნაშვილმა (აქტიური რაიონის მუშათა და სალდათთა საბჭოს წარმომადგენელმა) ს. დ. სახელით მოითხოვა კრება რამდენიმე წუთით შეეწყვიტათ და თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, სოციალისტური ბლოკი შეედგინათ საერთო მოქმედებისათვის, ბეგებს ეს არ ეპრიანათ და ერთი აურ-ზაური ატეხეს, მაგრამ კრება მაინც შესწყდა რამდენიმე წუთით. განახლებისას, კრებას მიმართა ხუჯუნაშვილმა სოციალისტური ბლოკის სახელით შემდეგი განცხადებით: რადგანაც ჩვენი ძალები იმდენათ სუსტი ყოფილა, რომ ჩვენ საკუთარ კანდიდატს ვერ დავასახელებთ, გთხოვ დასახელებულმა კანდიდატებმა გაგვაცნონ თავიანთი პლატფორმა და თუ რომელიმე მათგანისა დაუახლოვდება ჩვენსას, შეიძლება კენჭის ყრაში მივიღოთ მონაწილეობაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბლოკი უარს ამბობს კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზეო.

ვერც ერთმა კანდიდატმა თავისი პოლიტიკური პლატფორმა ვერ გაგვაცნო. ამით მათ დაამტკიცეს პოლიტიკური მოუმწიფებლობა, ერთმა მათგანმა კი სრულიად უარი განაცხადა კენჭის ყრაზე. მაშინ სოც. ბლოკმა კანდიდატები წამოაყენა ავაკიმიანცი (ს. რ.) ამ რიგათ, გუშინ დაუფრენ დემოკრატიის წარმომადგენლად ავაკიმიანცს და მსხვილი მემამულეების წარმომადგენლად ვეზიროვს, რომელმაც მიიღო 38 თეთრი, ავაკიმიანცმა კი 11 თეთრი. არჩეულ იქნა ვეზიროვი, რომელსაც კრების უმრავლესობა დიდის ტაშის ცემით შეხვდა.

კრებამ შემდეგ ამისა უნდა აერჩია ორი ამხანაგი და მდივანი. ამხანაგად ბეგებმა დაასახელეს სამაზრო კომისარი შიხლინსკი, სოც. ბლოკმა მოითხოვა, რომ პრეზიდიუმში ადგილი დაეთმოთ მდივნისთვის და თავმჯდომარის ერთი ამხანაგისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ბლოკი უარს ამბობდა კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე, ის უარს ამბობდა აგრეთვე საპასუხისმგებლო მუშაობაზე და აწარმოებს ოპოზიციონურ ბრძოლასო. კრების უმრავლესობამ ნება დართო, თუ ბლოკის წარმომადგენელი იქნებოდა მესამე ამხანაგათ და 6 ნ მიხლინსკის მიეცემოდა ხმას ბლოკი. ბლოკმა უარით უპასუხა. ამხანაგმა ხუჯუნაშვილმა გააკრიტიკა კომისარი შიხლინსკის მოქმედება მთელი ქვეყნის თვის განმავლობაში და მოითხოვა მისი კანდიდატურის მოხსნა. მთელი სიტყვის განმავლობაში მას არა ერთხელ წაართვეს სიტყვა ლაპარაკის. მოითხოვდნენ მის გაძევებას, ყვიროდნენ: „ეს არის ჩვენთან სოციალისტი“-ო, თვით შიხლინსკიმ მას უშვერი სიტყვებით მიმართა, რის შემდეგ ბლოკმა დარბაზი დემონსტრატიულათ დასტოვა. ასე დამთავრდა პირველი კრება ყაზახის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და განა შეიძლება მას ეწოდოს კაცმა მ. ს. და გ. დ. საბჭო? ის ხომ თავად-აზნაურთა ნამდვილი საბჭოა და თუ თითო ორიოდე დემოკრატის ხმა გაისმის, მას ან მუქარით ჩააჩუმებენ, ან ყვირილით და სტვენით, ან მოლაპარაკეს კრებიდან გაუძევებენ.

მაზრა გადიქცა ყაჩაღების ბუდედ. დღე არ გავა, რომ ორი სამი მკვლელობა არ მოხდეს თვით მაზრის კომისარის ცხვირ წინ. თვით არჩევნების დღეს ყაჩაღებმა ერთი ბედაური ცხენი წაართვეს ბრძანდებოდა თურმე და ბეგმა შიხლინსკიმ მას ყურადღება არც კი მიაქცია, თუმცა მან დაუწუნა აღმას. კომ. მისი დეპუტატობა. ყოველივე საქმეები აწეწილ დაწეწილია. დამფუძნებელი კრების არჩევნების სია ჯერაც არ არის შედგენილი მიუხედავად იმისა, რომ დღეს 25 ოქტომბერია.

დამსწრე.

ღია წერილი

ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელს ნ. მისაბიშვილს.

მოწყალეო ხელმწიფევ! გაზეთ „ერთობის“ მე-176 ნომერში ამოვიკითხე, რომ თქვენ ჩემთვის საჯაროთ გიწოდებიათ „ორპირი კაცი“. მე გთხოვეთ ველოდებოდი 5 დღის განმავლობაში, რომ თქვენ „ერთობაში“ მოყვანილ ცნობას უარყოფდით. თუ ამამდის არ უარყოფით, მაშინ მართლაც გიწოდებიათ ჩემთვის „ორპირი კაცი“. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ სიტყვა „ორპირი“ დიდი ზნეობრივი ბრალდებაა იმისთვის, ვისაც ეს შეეხება. ამიტომ მორჩილებით გთხოვთ, როგორც მოქალაქე მოქალაქეს, ამიხსნათ: რით მიწოდეთ მაგნაირი ზნეობრივად დამამცირებელი სახელი, რით დავიმსახურე მე თქვენი ეგეთი სასტიკი მსჯავრი? და თუ თქვენ ეგ სიტყვა მხოლოდ წამოგცდათ, როგორც ეს ხშირათ მოსდით ხოლმე გულმოსულობის დროს, იქონიეთ მოქალაქეობრივი კეთილ სინდისიერება, საქვეყნოთ (პრესის საშუალებით) აღიარეთ თქვენი შეცდომა და მომიხადეთ ბოდიში, რომელიც მე მომცემს, შეიძლება, უბრალო გულმოსულობის გამო. პასუხს ველი.

დავით ნათაძე.

ცნობები

ჯარის კაცის [illegible].

გაუწყებთ ნაცნობ მეგობრებს უნტერ-ოფიცერი გიორგი მჭედლიშვილის ფეხოსნობით, რომელიც გარდაიცვალა დიდი ომის დროს 1917 წ. ხმელთაშუა დარჩიას [illegible] ყოფნის დროს ქალაქ კარაქურთში [illegible] დაიბადა 20 აგვისტოს 1917 წ.

ამხანაგების მოხ. ვასილი ქ. [illegible].

— ჯარის კაცი ივანე ჯაჯანაშვილი (სოფ. კოდიანი ხაზ. სენაკის მაზრა), მსახურებდა კავკასიის მოიერიშე ჯარში მე-18 კავკასიის მსროლელთა პოლკში, მე 8 როტაში. თუ ვინმეს რამე იცის გაუცნობის შესახებ მისამართით: კავკასიის მომქმედი არმია მე-14 მუშათა ბატალიონი, მე 7 როტაში იაკობ პერტაიას.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათამდე.—ვენერიული სნეულებანი, შარდის ორგანოების შემოწმება. [illegible], ნერვებით [illegible], ფილტვების და სხ. [illegible], ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—21)

ექიმი
ბ. დონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის სექციო).

ექიმი კ. ი. მჭარხალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
მუხრანის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღის ქ. № 22.

ექიმი შ. მ. მუხაძე
იღებს სავენერიულო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ლეგი მიხეილის ქუჩა № 67; ალექსანდრე [illegible] სახ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი
დ. ზ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

ექიმი შ. შ. მეფისაძე
[illegible] უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩის პირდაპირ, რაზინის ქუჩა, № 19.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანი ქვეშ წამლის შეშხაპუნება, წინანდ. ელექტრონიზაცია.
[illegible] ქუჩა, № 4

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრონ-წამლობის კაბინეტში; განაწილება და წამლობა სინათლით. ღებული სავენერიოლო ანალიზების ტრიგის ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

პური

პროფესიონალურ კავშირის წევრებს, ახალი პურის ბარათების მიღება შეუძლიათ თავისთვის და თავის ოჯახებისათვის თითონ ან რწმუნებულის საშუალებით 28 ოქტომბრიდან ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე პროფესიონალურ კავშირის ბიუროში (პეტრე დიდის ქუჩა № 8) აუცილებელია შაქრის ბარათების წარდგენა.

3—3 ქალაქის სასურსათო გამგეობა.

პური

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი 27 ოქტომბრიდან მიიღებენ ახალ-ახალ პურის ბარათებს ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროსაგან, რისთვისაც უნდა წარადგინონ შაქრის ბარათი აღწერით.

იმ ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, რომლებშიაც ბევრი მოსამსახურე მუშაობს, შესაძლებელია გახსნილ იქნას პუნქტები პურის ბარათების დასარიგებლათ.

ამისათვის საჭიროა მოკლე ხანში წარმოდგენილ იქმნას განცხადება პურის ბიუროში, სადაც ნაჩვენები იქნება საჭირო ბარათების რაოდენობა.

5—3 ქალაქის სასურსათო გამგეობა.

არჩევნები მომრიგ. ბინათა კამერების წევრებისა

მოქალაქენო! ბინების კანონის ძალით 5 მარიამობისთვიდან 1917 წლისა, ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, დაარსდას ტფილისში ექვსი (6) მომრიგებელი ბინათა კამერები, თითო ყოველ ორ სამილიციო უბანში.

კამერათა თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ირჩევს კანონის ძალით ქალაქის საბჭო, რის მიხედვითაც ტფილისის ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზედ 16 ღვინობისთვეს აირჩია ექვსი კამერის თავმჯდომარე და მათი მოადგილენი.

კამერების წევრების შემადგენლობა თანაბარივია ე. ი. მდგმურები და სახლის პატრონები ირჩევენ კამერისთვის თანაბარივ რიცხვს თავიანთ წარმომადგენლებისას, ყოველ კამერაში არჩეულ უნდა იქნან 24 წევრი; ამათგან 12 მდგმურისა და 12 სახლის-პატრონების წარმომადგენლები.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყოველ მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ვისაც კი ჰქონდა ხმა საქალაქო არჩევნებში.

ყოველ ორ მეზობლით მყოფ სამილიციო უბანში იწვევს თითო კრება სახლის-პატრონებისა და თითო მდგმურებისა.

კრებები ყველასათვის დანიშნულია კვირას, 29 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზე.

ადგილები სახლის პატრონთა კრებებისთვის:	ადგილები მდგმურების და თითო ოთახის მოქირავნეთა კრებებისათვის:
1—2 უბ.—დარბაზი არტ. საზოგადოებისა	1—2 უბ.—მე-6 ვ ვაჟების გიმნაზია.
3—4 უბ.—მე-III ვ ქალთა გიმნაზია.	3—4 უბ.—მე-III ვ ვაჟების გიმნაზია.
5—8 უბ.—კომერციული სასწავლებელი.	5—8 უბ.—ბარეთების მუშაკის სკოლა.
6—7 უბ.—მე 5 ვ ვაჟების გიმნაზია.	6—7 უბ.—ავლაბრის კლუბი.
9—10 უბ.—რეალური სასწავლებელი.	9—10 უბ.—მე-II ვ ქალაქის გიმნაზია.
11—12 უბ.—მუშტაიდის კლუბი.	11—12 უბ.—ნაძალადევის თეატრი.

რამდენიც უნდა აღმოჩნდეს დამსწრეთა რაოდენობა კრებები კანონიერათ ჩაითვლებიან.

1—1 ტფილისის ქალაქის გამგეობა.